ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

დემურ გოგინავა

მასობრივი ტურიზმის გავლენა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე (თბილისის ისტორიული უბნების მაგალითზე)

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნიკო კვარაცხელია

სრული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

წინამდებარე სადიპლომო ნაშრომში განვიხილავთ მასობრივი ტურიზმის გავლენას ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე თბილისის ძველი უბნების მაგალითზე. საქართველოსა და მისი დედაქალაქის - თბილისის მიმართ ტურისტული ინტერესი ყოველწლიურად მატულობს. აქ ადგილობრივზე მეტი ტურისტია: 2018 წელს, 3 მილიონზე მეტი ადამიანით დასახლებულ ქვეყანაში დაახლოებით 7.2 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი დაფიქსირდა, ხოლო ტურისტების რაოდენობამ კი 4.7 მილიონს მიაღწია. ეს კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არ გახლავთ. წინასწარი ვარაუდით, რომელიც წლების წინ გაკეთდა, 2020 წელს მათი რიცხვი რვა მილიონს მიაღწევს, 2025 წელს კი – 11 მილიონი გახდება.

საქართველოს ბუნების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, ტურისტების უმრავლესობა ქვეყნის გაცნობას სამართლიანად იწყებს დედაქალაქიდან. ამბობენ, რომ „თბილისის გაგება შეუძლებელია, ის უნდა შეიგრძნო; ამისთვის კი მის რომელიმე ძველ უბანში უნდა დასახლდე და მის ვიწრო და ოღრო-ჩოღრო ქუჩებში ფეხით ისეირნო“. [1]

საერთოდ, არსებობს კულტურასა და ეკონომიკაზე ორიენტირებული, ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველი ქალაქები. საქალაქო ტურიზმის განვითარება კი დამოკიდებულია სწორედ ეკონომიკურ სიძლიერეზე, მომხიბლავ ინფრასტრუქტურაზე. ქალაქი კულტურულად და გასართობად მიმზიდველი უნდა იყოს. ამ ყველაფერში იგულისხმება ქალაქის გარეგნული იერსახე, ტრადიციები, ისტორიული ადგილები, არქიტექტურული თუ არქეოლოგიური საგანძურები და ა.შ. წინამდებარე ნაშრომიც იმის გარკვევას ემსახურება, თუ რამდენად აქვს ეს ყველაფერი თბილისს - არის თუ არა ტურიზმი ჩანასახოვან მდგომარეობაში, რამდენად მოქმედებს ტურისტების მოზიდვაზე დედაქალაქში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მხოლოდ საქართველოს კი არა, მთელი ამიერკავკასიის ცენტრია თბილისი, რომელიც დღეს უძველესი ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობით გაჟღენთილი

[1] ძველი თბილისი და ახალი საქართველო - არის თუ არა ქვეყანა მზად ტურისტული ბუმისთვის, 25.04.2017 https://jam-news.net/%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98

ინფრასტრუქტურის სინთეზია: ძველი უბნები ძველებური ეზოიანი სახლებით, პატარა ჩიხები, უძველესი ტაძრები და ძველი ეპოქა უეცრად იცვლება თანამედროვე დიზაინის ფერადფასადებიანი შენობებით, მოცეკვავე და მომღერალი შადრევნებითა და განსხვავებული იერსახის, ძველებური, მაგრამ თანამედროვედ გაკეთებული, კაფეებით სავსე პოპულარული საფეხმავლო ქუჩებით.

აქვე მოედინება მდინარე მტკვარი, რომელსაც კლდეზე მდგარი უძველესი ტაძარი და თბილისის დამაარსებელი მეფის - ვახტანგ გორგასლის ძეგლი გადმოჰყურებს. გარშემო უძველეს ტაძრებთან ერთად თვალს გვჭრის თანამედროვე კონსტრუქციებიც, რაც მნახველს ძველისა და ახლის ზღვარზე ამყოფებს და იზიდავს თავის ამ უკიდურესობებით. ამიტომაც არის, რომ საქართველოში ჩამოსული ტურისტები, ულამაზესი კუთხეების ნახვის მიუხედავად, სხვაგვარად ტკბებიან დედაქალაქის ორიგინალური სილამაზით. თბილისი მიმზიდველია და ყოველთვის ასეთად უნდა დარჩეს.

ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე ვამახვილებთ ყურადღებას მოცემულ თემაში. განვიხილავთ თბილისის ისტორიულ-კულტურულ, მატერიალურ და არამატერიალურ მემკვიდრეობას, ძველი თბილისის უბნებსა და ტურისტულ მარშრუტებს, საექსკურსიო ობიექტებს ძველ თბილისში, ქვეითად სასიარულო ქუჩებსა და უბნებს და ყურადღებას ვამახვილებთ თბილისის რესტავრაცია-რეაბილიტაციაზე - თუ რამდენად ინარჩუნებს ამის მერე თბილისი თავის თვითმყოფადობას.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), კვლევის მეთოდოლოგიასა და მის ანალიზს, ასევე დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

In the previous diploma work we discuss the influence of mass tourism on the preservation of the historical and cultural heritage on the examples of the old areas of Tbilisi. Tourist interest in Georgia and its capital – Tbilisi increases annually. There are more tourists than locals, in a country where more than 3 million people live, there were more than 7.2 million international visitors and more than 4.7 million tourists just in 2018. And this is not even the highest rate. According to the preliminary estimates, their numbers will reach 8 million by 2020 and 11 million by 2025.

Despite the diversity of Georgian nature, the majority of tourists start to get acquainted with the country from the capital. They say, "it is impossible to understand Tbilisi, it should be felt; for this you should settle in some of its old districts and walk on the narrow streets of the city."

Generally, there are attractive cities that are oriented on culture and economics, in terms of tourism. Urban tourism development depends on the economic strength and the fascinating infrastructure. To attract people, the city should be entertaining and rich with its culture. These include the appearance, traditions, historical places, architectural or archeological treasures of the city and so on. The previous work also helps to determine whether Tbilisi has them all or not – whether tourism is in the status quo, how the rehabilitation works in the capital affect tourists

Tbilisi is the center of the whole Caucasus, not only Georgia. It has both, ancient historical heritage and modernity, they are impregnated in infrastructure synthesis; Old neighborhoods with old houses, small dead ends, ancient temples. Then there is a sudden change in the design, modern buildings, dancing fountains and pedestrian streets full of cafes with different appearances, old, but well-made.

The river Mtkvari also flows here, it is overlooked by ancients temples, built on rocks and the monument of Vakhtang Gorgasali, the founder of Tbilisi. Besides old temples, we can also see modern constructions, which makes the viewer on the edge of the old and new and attracts them with this beautiful sightseeing. That is why, the tourists who come to Georgia, despite the spectacular viewing of the beautiful regions, are enjoying the original beauty of the capital city. Tbilisi is attractive and should always remain like that.

We will focus on these and other interesting details in the given topic. We will consider Tbilisi's historic-cultural, material and intangible heritage, old Tbilisi districts and tourist routes, excursions in old Tbilisi, pedestrian streets and districts, also we pay attention to Tbilisi's restoration-rehabilitation works and how well Tbilisi maintains its identity after them.

The work covers the annotation, content, introduction.

სარჩევი

ანოტაცია ----------2

Annotation----------4

შესავალი ----------7

თავი 1. თბილისის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა----------10

1.1. ძველი თბილისის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა----------10

1.2. ძველი თბილისის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა----------16

თავი 2. ძველი თბილისის უბნები და ტურისტული მარშრუტები----------19

2.1. საექსკურსიო ობიექტები ძველ თბილისში ----------19

2.2. ქვეითად სასიარულო ქუჩები და უბნები----------22

თავი 3. ძველი თბილისის რესტავრაცია და

თვითმყოფადობის შენარჩუნება ----------27

3.1. ძველი თბილისის რესტავრაცია და ტურიზმი----------27

3.2.ძველი თბილისის თვითმყოფადობის შენარჩუნება----------30

კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზი----------32

დასკვნა----------43

გამოყენებული ლიტერატურა----------45

დანართი ----------48

შესავალი

თემის აქტუალობა: დღეს, საქართველოს უამრავი ტურისტი სტუმრობს. მათი აღფრთოვანება შეუმჩნეველი არ რჩება - მოსწონთ საქართველოს ბუნება, სოფლები და ქალაქები, მოსწონთ და უყვართ ჩვენი დედაქალაქი თბილისი თავისი ძველი უბნებით, ქუჩებითა და ქუჩაბანდებით, იტალიური ეზოებითა და ხუროთმოძღვრული ძეგლებით, რაც მათთვის ძალზე საინტერესოა.

ქალაქი თბილისი საქართველოს უძველეს ქალაქთა იმ ქრონოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება, რომლებიც წარმოიშვნენ ადრეფეოდალურ ხანაში და მათი განვითარება მიმდინარეობდა თავად ფეოდალური ხანის განვითარების თანამიმდევრულად. ამავე დროს, თბილისი სპეციფიურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი თავიდანვე აშენდა როგორც სატახტო ქალაქი და ასეთად რჩება მთელი თავისი ისტორიის მანძილზე (არაბების ბატონობის დროსაც კი იგი საამიროს ცენტრს, მსხვილ სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა). თუმცა თბილისი, როგორც ციხე-ქალაქი და დასახელება გორგასლამდეც არსებობდა. აქ დასახლებული პუნქტი აღნიშნულია კასტორიუსის საგზაო რუკაზე (მე-4 ს.). თაბულა რეუტინგერიანა, სახელწოდებით - ფილადო (ლათ. თბილი) მე-4 საუკუნის 60-იან წლებში კი „მოქცევა ქართლისას“ ცნობით თბილისი უკვე ქალაქად მოიხსენიება: „და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ-ბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად, ციხედ“ - გვაუწყებს მემატიანე.

გრაფიკული ჩანახატების მიხედვით კი, თბილისი მხოლოდ მე-17 საუკუნის შუა ხანიდან არის ცნობილი. ქალაქის პანორამა 1671 წელს ჩაუხატავს ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენისთანა მგზავრ მხატვარ გრელოს. შემდეგი ჩანახატი ეკუთვნის ასევე ფრანგი მოგზაურისა და ბოტანიკოსის ჟოზეფ ტურნეფორის თანამგზავრ კლოდ ობრიეს 1701 წ. თბილისის უფრო ადრინდელი სახე კი მხოლოდ ისტორიული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური გათხრების მონაცემებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

ისტორიული ცნობები და არქეოლოგიური გათხრები შესაძლებლობას გვაძლევს, დავადგინოთ ადრეშუასაუკუნეების თბილისის ფარგლები, მისი უბნები და ნწილობრივ ურბანული სახე. ქალაქისთვის ადგილი შეურჩევიათ მტკვრის ვიწრობში და ამ ვიწრო ადგილას გამავალ გზას ერთი მხრიდან სალალაკის ქედი, მეორედან კი მეტეხის პლატო

აკონტროლებდა. სალალაკის ქედზე ზედა-ციხე - ციტადელი მოზღუდეს, დღევანდელი ნარიყალა, „ნარინ-კალა“, რაც არაბულად პატარა ციხეს ნიშნავს. თვით ქალაქი კი, საკუთრივ ტფილისი წარმოიშვა იქვე მდინარე წავკისწყლისა და მტკვრის შესართავთან გოგირდის ცხელი წყლების ირგვლივ, დღევანდელ აბანოთუბანში. ვახტანგ გორგასლის დროინდელი უნდა იყოს ზედა-ციხიდან ქვეით დასვებული გალავნის კედელი მდ. წავკისწყლის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, მტკვრამდე. ამ კედლის ნაშთი დღესაცა რის შემორჩენილი აბანოთუბანში ორმოცმოწამეთას ეკლესიასთან. იქვე აღმოჩნდა რომაული ტიპის აბანოს ნანგრევი, დათარიღებული ახ. წ. მე-2 საუკუნით. მოგვიანებით, სიმაგრე „სადილეგო“ აუგიათ მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზეც, მეტეხის პლატოზე, რომლის უკან სამაროვანი იყო, საგოდებელი-სოღდებილი.

ტურიზმის ინდუსტრიაში განსაკუთრებით აქტუალურია საქალაქო ტურიზმი, რადგან ქალაქი ყოველთვის იყო ბიზნესისა და ვაჭრობის, ტურისტული აქტივობების ცენტრი და ხელს უწყობდა ეროვნულ ეკონომიკის განვითარებას. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ საბაზრო ძალების პოტენციალს. ისევე როგორც ჩვეულებრივ ბაზარზე, ქალაქის მმართველობამ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იმოქმედოს და იზრუნოს ქალაქის, როგორც ბაზრის ერთ-ერთი სუბიექტის განვითარებაზე. საქალაქო ტურიზმი ქალაქის, როგორც ტურისტული ბაზრის აგენტის შესაძლებლობების გამოვლენის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ზოგადთეორიული მიგნებებისგან განსხვავებით, ტურისტული ბაზარი მომსახურების ის სფეროა, რომელიც თანაბრად წარმატებულად შეიძლება განვითარდეს როგორც დიდ, ასევე საშუალო და პატარა ქალაქებში, საქალაქო ტურიზმის სახეების შესაბამისად.

ამრიგად, ქალაქ თბილისის ტურისტულ და რესურსულ პოტენციალი ქალაქს იმის შესაძლებლობებს აძლევს, რომ ტურიზმის ბაზარზე აქტიური ბიზნეს-აგენტის ადგილი დაიკავოს, შექმნას ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციების განხორციელების და კონკურენციისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები, შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები და შემოსავალი და ხელი შეუწყოს ადგილობრივი შესაძლებლობების წარმოჩენას, რაც საბოლოო ჯამში ადგილობრივი ქალაქის განვითარებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

თემის მიზანი: თემის მიზანია, დაგვანახოს, რა გავლენას ახდენს მასობრივი ტურიზმი თბილისის ძველ უბნებში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

თემის ამოცანა: თემის ამოცანა მიზნიდან გამომდინარეობს და გულისხმობს თემაში მოცემული ყველა იმ საკითხის სიღრმისეულ ანალიზს, რაც კი თბილისის კულტურულ მემკვიდრეობასა და მისით ტურისტთა დაინტერესებას ეხება.

კვლევის მეთოდები: თბილისის ტურისტული შესაძლებლობის კვლევაში შევისწავლეთ საქართველოში ვიზიტორთა ვიზიტის მიზანი, დანახარჯების განაწილება კატეგორიების მიხედვით, მონახულების ადგილი და კმაყოფილების დონე. როგორც მკვლევრები წერენ, არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია, რამდენი ტურისტი სტუმრობს თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს დღიურად ან სეზონზე, რამდენია მათგან მიღებული შემოსავალი, რა კონკრეტული მიზეზით არის გამოწვეული ტურისტების ზრდა ან კლება და ა.შ., ვინაიდან ეს ცვალებადი პროცესია. კვლევაში დაგვეხმარა სამეცნიერო ლიტერატურა (ბიბლიოთეკიდან) და ინტერნეტ-რესურსები, რომელთა სიაც მოცემულია ნაშრომის ბოლოს.

თავი 1. თბილისის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

1.1.ძველი თბილისის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

კულტურული მემკვიდრეობა არის ის სიმდიდრე, რომელიც წინაპრებისგან დაგვრჩა და რომლის მთავარი მესაკუთრენიც ვართ. ეს ადამიანის არსებობის, სამყაროს მიმართ მისი შემოქმედებითი დამოკიდებულების ერთგვარი გამოხატულებაა, ეს არის ისტორიულად, ბუნებრივად შექმნილი კულტურული გარემო, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სახეს და ყოველ ჩვენგანს იმ განსაკუთრებულ მუხტს აძლევს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადასული ღირებულებების ნატიფ ერთობლიობას შეიძლება ჰქონდეს.

კულტურული მემკვიდრეობა გვაკავშირებს წარსულთან, საფუძველს გვაძლევს აწმყოსთვის და გზას გვიკვალავს მომავლისაკენ. აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობა, ერთგვარად, ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ანარეკლია. ის არ არსებობს კულტურის ფართო კონტექსტის, სოციუმის გარეშე.

თავად ცნებამ „კულტურული მემკვიდრეობა“ ცვლილებები განიცადა. თავიდან ის საკუთარ თავში ისტორიულ-მხატვრული ღირებულების მქონე ძეგლებს გულისხმობდა, მეოცე საუკუნეში კი გასცდა მხოლოდ მშვენიერს და მოიცვა სრულიად ყველაფერი, რაც კი ქვეყნის, საზოგადოებისა თუ კონკრეტული ადამიანის განვითარების რომელიმე ეტაპს შეიძლება ასახავდეს. კულტურული მემკვიდრეობის ძირითად მახასიათებლად ამჟამად არა მარტო ესთეტიკურობა, არამედ ნამდვილობა და ავთენტურობა გვევლინება. მის მიმართ მოპყრობის, დაცვის მთავარი კრიტერიუმიც იმავე ნამდვილობის შენარჩუნებაა, ანუ, გულწრფელი დამოკიდებულება იმ ფასეულის მიმართ, რაც შელამაზებას არ საჭიროებს. აი, ამ ნამდვილის დაცვაა კულტურული მემკვიდრეობის მართებულად განვითარების უტყუარი პირობა. კულტურული მემკვიდრეობა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში შემონახულია ამის კვალი საქართველოში, მაგ.: თუკი სოფლის მეურნეობით დავინტერესდებით, ვნახავთ ამ დარგის ჩასახვის, მიწათმოქმედებისა თუ მევენახეობის განვითარების ადრეული ეტაპის არქეოლოგიურ მასალას.

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლებს თუ ვეწვევით, შემოქმედებითობა და სამშენებლო საქმის უბადლო ცოდნა გაგვაკვირვებს. გარდა ამისა, ადვილად აღმოაჩენს

ადამიანი საქართველოში სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საინჟინრო ან სხვა პროფესიის ფლობის მანიშნებელ უტყუარ კვალს.

მემკვიდრეობის მრავალფეროვნება ის საფუძველია, რომელიც დიდ ასპარეზს უქმნის ხელოვანს, შთაგონებას მატებს, ხედვას უვითარებს და ეს უკვე პირდაპირ კავშირშია შემოქმედებით თავისუფლებასთან.

ადამიანმა თავისი უნარებით შეცვალა გარემო, გარემომ კი, თავის მხრივ, გავლენა იქონია ადამიანის შემოქმედებაზე. ამიტომ ეს ცნება - „მემკვიდრეობა“ იხმარება როგორც კულტურული, ასევე ბუნებრივი ძეგლების აღსანიშნავად. ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი აერთიანებს ორივეს და „შერეული მემკვიდრეობის” კატეგორიას განეკუთვნება. ასეთებია:

- **თვითნაბადი ლანდშაფტები**
- **სამეცნიერო ანდა ესთეტიკური ღირებულების გეოლოგიური თუ ფიზიკური ფორმაციები**
- **ტერიტორიები, რომლებიც გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სამყოფელს მოიცავს - იგივე ნაკრძალები;**
- **მღვიმეები**

კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი კატეგორიაა ე.წ. კულტურული ლანდშაფტი, რომელიც მრავალფეროვანი სახით გვხვდება საქართველოში. ტერმინი მოდის გერმანული სიტყვიდან Landschaft, ხოლო ინგლისურში ის აღინიშნება სიტყვით „landscape”. კულტურული ლანდშაფტის განმარტება ასეთია: ბუნებრივ-გეოგრაფიული არეალი, ანდა ბუნებისა და ადამიანის მოქმედებით შექმნილი მატერიალურ-არამატერიალური ფასეულობების ერთიანი სისტემა.[2]

თავად საქართველოს დედაქალაქს რომ შევეხოთ, თბილისის ფეოდალური ხანის საერო და თავდაცვითი ნაგებობები ნარიყალას ციხე-გალავნის ქვედა ფენების გარდა არსადაა შემორჩენილი. მხოლოდ ადრეული ხანის რამდენიმე ეკლესია ვიცით. კიდევ უფრო გვიანდელი ცნობის თანახმად, გორგასლის დროს აგებულა მეტეხის სულ პირველი ეკლესია და მთავარანგელოზთა ტაძარი, რომელიც დღევანდელ ერეკლე მეორის

[2] კულტურული მემკვიდრეობის დამცველის გზამკვლევი (რედ. მანანა გოშაძე), თბ., 2017 წ., გვ. 10

მოედანთან იდგა და, სამწუხაროდ, არ შემორჩენილა. დაახლოებით იმავე დროისაა ზემო ბეთლემის გუმბათიანი ტაძრის გათხრებისას აღმოჩენილი ეკლესიის ნაშთი. გორგასლის მემკვიდრე დაჩის ეკუთვნის (მე-6 საუკუნის დასაწყისი) ანჩისხატის ეკლესიის ქვედა, თავდაპირველი ფენა. შესაძლოა, მე-6 საუკუნის ყოფილიყო, ასევე, ქაშუეთის თავდაპირველი ტეტრაკონქი. იმავე პერიოდში დაუწყიათ სიონის ეკლესიის აშენებაც, რომელიც მე-7 საუკუნის დასაწყისში დამთავრებულა.

ადრეული ხანის ნაგებობები არ არის შემორჩენილი, თუმცა ქუჩების ქსელი პირვანდელი სახით უნდა იყოს. ქუჩებს ჰქონდა თავისუფალი მოხაზულობა, რადგან, უმეტესად, პატარ-პატარა ხევების გაყოლებით ვითარდებოდა და მათსავე მიმართულებას მიჰყვებოდა.

გრელოს ჩანახატზე ვხედავთ გალავანშემოფარგლულ კალას და ცალკე შემოსაზღვრულ ქვედაციხეს ახლანდელ გორგასლის მოედანთან. მარცხნივ ჩანს მეტეხი, ხოლო მის უკან სეიდაბადის ფრაგმენტებია გამოსახული. თბილისის გალავნის გარეთ, მარჯვენა მხარეს, მხოლოდ რამდენიმე ეკლესია და სხვა ნაგებობაა დახატული. თითქმის იგივე რაკურსით ჩაუხატავს კლოდ ობრიეს მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის თბილისი. აქაც ნათლად ჩანს ქალაქის სტრუქტურა მდინარისწინ აწყობილ ფერდობებზე.

არსებობს, აგრეთვე, ვახუშტი ბატონიშვილის რუკა, რომელზეც დედაქალაქი ოთხ მთავარ ნაწილად არის დაყოფილი: მტკვრის მარჯვენა ნაპირზე - ტფილისი ანუ სეიდაბადი ჩანს, დღეს უკვე აბანოთუბანი, რუკის შუა ნაწილში ვხედავთ კალას - გალავნით შემოფარგლულ ქალაქს და ქვემოთ - ნარიყალას ზედა ციხეს. მარცხნივ აღნიშნულია გარეთუბანი - დღევანდელ რუსთაველის პროსპექტსა და მტკვარს შორის არსებული ტერიტორია, მტკვრის მარცხენა ნაპირზე - ავლაბარი და მეტეხი. რუკაზე, მარჯვნივ, აღნიშნულია სოფლებიც და ახალი სოფელიც.

არსებობს რუსი მხატვრების ნ. ჩერნეცოვის, გ. გაგარინისა და სხვა რუს და ევროპელ მხატვართა თბილისის პანორამული ჩანახატები. ამ გეგმებისა და ჩანახატების, ასევე დიმიტრი ერმაკოვის, ალექსანდრე როინიშვილისა და სერგეი პროკუდინ-გორსკის საარქივო ფოტოების მიხედვით ჩვენ შესაძლებლობა გავქვს, თვალი გავადევნოთ

თბილისის ურბანულ განვითარებას მე-17 საუკუნის დასასრულიდან მე-20 საუკუნის დასაწყისის ჩათვლით.

როსტომ მეფის დროს, მე-17 საუკუნის შუა წლებში, შემოზღუდეს ნარიყალას ქვედა ციხე. მაშინ აქ სპარსელთა გარნიზონი ჩადგა. მთელი საუკუნის შემდეგ, ერეკლე მეორემ სპარსელები განდევნა და ციხის კედელი მოახსნევინა. 1770-იან წლებში, მისმა მეუღლე დარეჯანმა კვლავაც გალავნით შემოზღუდა მთელი შიდა ავლაბარი და გალავნის კედლის იქითა ტერიტორიას „გარეთ ავლაბარი“ ეწოდა. რუსეთის შემოსვლის შემდგომ წლებში თბილისმა თანდათან განვითარება იწყო. გაჩნდა მოედანი, რომელსაც გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის სახელი დაერქვა და ამჟამად თავისუფლების მოედანი ჰქვია.[3]

მე-10 საუკუნეში მოღვაწე არაბი გეოგრაფი იბნ ჰაუკალი წერს: „თბილისში არის ტობერიადის მსგავსი აბანოები. მათი წყალიც უცეცხლოდ დუღს“. ისტორიული ცნობების მიხედვით, მე-13 საუკუნეში, საქართველოს ამ პატარა დედაქალაქში მინერალური წყლის 65 აბანო არსებულა. თბილისურ აბანოებზე ცნობებს გვაწვდის მე-13-მე-14 სს. ვენეციელი მოგზაური, სახელგანთქმული მარკო პოლოც. მე-18 საუკუნის ბოლოს კი, აღა-მამად ხანის ლაშქრობისას, გოგირდის აბანოები დაინგრა და გაპარტახდა.

მე-19 საუკუნეში, თბილისში იყო ე.წ. ერეკლეს, გოგილოს, ორბელიანის, სუმბათოვის, ყველაზე განთქმული - ჭრელი და კიდევ არაერთი აბანო. დღემდე შემორჩენილ აბანოთა უმრავლესობა მე-17-მე-18 სს.-ში ირანული არქიტექტურის გავლენით აშენდა და ბოტანიკური ბაღისკენ მიმავალ გზაზე, სეიდაბადში მოიყარა თავი. ამ მიზეზით მოხდა, რომ აბანოებით განთქმულ ადგილს აბანოთუბანი ეწოდა.

გოგირდის აბანოების გვერდით მდებარეობს ძველი თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა - ჭრელი აბანო, რომელიც მე-18 საუკუნეში აუგიათ ორბელიანებს და დღემდე მოქმედი დაწესებულებაა. ეს აღმოსავლური სტილის ნაგებობა ძველი თბილისის პანორამაში ძალზედ საინტერესოდ ჯდება. წინა ფასადს მთელ სიმაღლეზე გასდევს ისრული თაღი. აღმოსავლური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი კოშკურები, ფერადოვანი მოპირკეთება და ისრული თაღების მწკრივი საოცრად კოლორიტულ ხასიათს ქმნიან.

[3] ისტორიული თბილისი, კულტურული ასპექტები (მოხსენებათა კრებული), თბ., 2013 წ., გვ. 21

აბანო თბილისური ბოჰემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავშეყრისა და გართობის ადგილი იყო. დღეს, ის ისტორიული ძველი თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა და ამავე დროს მოქმედი სამკურნალო და ჰიგიენური დაწესებულებაც.

მე-18 საუკუნის ბოლოს მოხდა უკანასკნელი და ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი შემოსევა თბილისზე. ირანელებმა თბილისი დარბიეს, გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს. თუმცა, თბილისი, მიუხედავად ყველაფრისა, ვითარდებოდა და ფართოვდებოდა.

ძველ, ფეოდალურ თბილისს თავისი ბუნებრივ დომინანტები, შემკვრელი ხუროთმოძღვრული აქცენტები ჰქონდა: ნარიყალა და მეტეხი. ხუოთმოძღვრული ღერძი კი მტკვარი იყო. მე-19 საუკნეში, ქალაქის დომინანტი გოლოვინის პროსპექტი გახდა. ამუშავდა პირველი საქალაქო რკინიგზა „კონკა“. 1887 წელს, მწყობრში ჩადგა ავჭალის პირველი წყალსადენი. დასასრულს უახლოვდებოდა ფეოდალიზმის ეპოქა.

მე-19 საუკუნის თბილისი ძალზე თავისებური, კოლორიტული, ევროპულ-აზიური ქალაქი იყო. ფრანგი მოგზაური ემილ ლევიე თავის მოგონებებში წერდა: „ მაღლიდან ქალაქი საღამოჟამს მშვენიერი სანახავია, ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირაღდნებულ პარიჟს“...[4]

თბილისი იყო სტუმართმოყვარე, საოცარი ქალაქი. ძველი თბილისის ცენტრში მდებარეობს, ასევე, სომხური სამოციქულო ეკლესია, სინაგოგა და მუსულმანური მეჩეთი.

თბილისის ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები ორ ნაწილად უნდა გავყოთ: ქალაქის ისტორიული ცენტრი „ძველი თბილისი“ და რუსთაველის პროსპექტი. აქ თავმოყრილი ისტორიისა და არქიტექტურის მთავარი ობიექტები შექმნილია, ძირითადად, მე-19 საუკუნეში.

ქალაქის ცენტრალურ ქუჩას, რუსთაველის პროსპექტს, ზემოდან გადაჰყურებს მთაწმინდის მთა „მამა დავითი“, მთაწმინდიდან იშლება ქალაქის შესანიშნავი პანორამა. მთაწმინდის ფართო პლატოზე აღმართულია ტელეანძა (276 მ) და ფუნიკულიორის ზედა სადგურის ლამაზი შენობა. წმინდა მთის ფერდობზე მდებარეობს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, რომლის დაარსების იდეაც 1915 წელს გაჩნდა და 1929 წელს გაიხსნა.

---

[4] დიანა ოვაკიმიანი, ნუგზარ თედიაშვილი, ექსკურსიით ჰაოსის ქვეყანაში, თბ., 2013 წ., გვ. 12

მთაწმინდიდან აღმოსავლეთით, სოლოლაკის სერზე აღმართულია თბილისის ტერიტორიაზე მდებარე ყველაზე უძველესი ისტორიული ნაგებობა, ზემოხსენებული ნარიყალას ციხე (აშენებული მე-4 საუკუნეში). ნარიყალა უძველესი ციხე-სიმაგრეა. ის თბილისსა და მდ. მტკვარს გადაჰყურებს, შედგება გალავნის ორი სექციისგან, რომელიც ციცაბო კლდეზე, გოგირდის აბანოებსა და ბოტანიკურ ბაღს შორის მდებარეობს. მეოთხე საუკუნეში დამკვიდრდა, როგორც „შურის ციხე". მეშვიდე საუკუნეში და უფრო მოგვიანებით დავით აღმაშენებლის მიერ საგრძნობლად გაფართოვდა. ამის გარდა, თბილისში მდებარეობს არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, ისეთები, როგორებიცაა: სიონი, მეტეხი, ანჩისხატი, ასევე ახლახან აშენებული გრანდიოზული სამების ტაძარი.[5]

თბილისის ისტორიული იერსახე, მისი განუმეორებელი არქიტექტურული კოლორიტი და დრამატიზმით აღსავსე სინამდვილე სამართლიანად იწვევს ფართო საზოგადოების მუდმივ ინტერესსა და დაკვირვების სურვილს. როგორ და რა გზით არის შესაძლებელი ამ სილამაზის შენარჩუნება? შეიძლება თუ არა ევროპის ისტორიული ქალაქების რეაბილიტაციის გამოცდილების გამოყენება ძველი თბილისის გადასარჩენად? - მხოლოდ მზარდი და სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოების პირობებშია შესაძლებელი კულტურული მემკვიდრეობის ეფექტური მოვლა-პატრონობა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა იმ სახით, რომელიც ეკადრება ისტორიული მეხსიერების მქონე ერს. [6]

დაახლოებით 10 წლის წინ, არქიტექტურის ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, რომ თბილისის სილამაზეს საფრთხე ემუქრებოდა. ისინი წერდნენ, რომ თბილისის ისტორიულ ნაწილში მიმდინარე სამშენებლო პროცესები ჩვენი საზოგადოების (როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტების) უდიდეს აღშფოთებას იწვევდა. მაშინ გაჩნდა ძველი თბილისის ჭეშმარიტად გადასარჩენი ფასეულობის დასახიჩრების რეალური შიში.[7]

---

[5] დიანა ოვაკიმიანი, ნუგზარ თედიაშვილი, ექსკურსიით ჰაოსის ქვეყანაში, თბ., 2013 წ., გვ. 18

[6] კოკა ამირეჯიბი, ქალაქის სათუთი განახლება და ძველი თბილისის რეაბილიტაცია, თბ., 2009 წ., გვ. 5
[7] მაია მანია, თბილისის დასაცავი ფასეულობა, თბ., 2009 წ., გვ. 6

საქართველოს სატახტოს არქიტექტურული სახე საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. მისი უძველესი უბნები იმთავითვე თბილისის რთულ და მრავალფეროვან რელიეფზე იძერწებოდა. ადგილის ტოპოგრაფიამ, თბილისის უხსოვარი დროიდან ჩამოყალიბებულმა მთებისა და კლდეების ორთოგრაფიულმა ბუნებამ დიდწილად განსაზღვრა თბილისის სახე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქის თვითმყოფადი ხასიათის ჩამოყალიბებაში.

ქალაქი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, მდინარე მტკვრის ვიწრო ხეობაში გაშენდა, მდინარის გრძივად განვითარდა და შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდში ბუნებრივ დომინანტებს მორგებული საერო და საკულტო შენობებით განისაზღვრა. შუასაუკუნეობრივი ქალაქის უცვლელი დომინანტები - მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოლოლაკის მთის მაღალ რელიეფზე მორგებული ციტადელი - ნარიყალას ციხე და მის ფარგლებში აშენებული ნიკოლოზის ეკლესია, სოლოლაკის კეხზე ადრეულ შუასაუკუნეებში აშენებული გალავანი და შაჰისტახტი, ერთი მხრივ და მდინარის მარცხენა ნაპირზე, ისნის კლდოვანი პლატოს დამასრულებელი მეტეხის ეკლესია დღესაც განსაზღვრავს ძველი ქალაქის არქიტექტურულ სახეს.

ძველი ქალაქის მნიშვნელოვან საყრდენებს მტკვრის სიახლოვეს მდებარე ანჩისხატისა და სიონის ეკლესიები, ჯვარისმამის, ნორაშენის, სურბნიშნის თუ მოღნინის ეკლესიები წარმოადგენდნენ. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მრავალკონფესიურ ქალაქში შემორჩენილთაგან ზემოთ უკვე აღნიშნული ერთადერთი მეჩეთისა და რამდენიმე სინაგოგის არსებობაც. აქვეა ქარვასლები, თაბორის მთის ძირში, თერმულ წყლებზე აგებული აბანოს შენობები და საცხოვრებელი სახლები.

1.2.ძველი თბილისის არამატერიალური კულტ. მემკვიდრეობა

კულტურული ლანდშაფტების, ძეგლებისა და სამუზეუმო კოლექციების გარდა, ჩვენს იდენტობას წინაპრებისგან გადმოცემული წეს-ჩვეულებები ქმნის, ამას ემატება კულტურული მრავალფეროვნება, ეს კი მთლიანად არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაა. აღნიშნული ტერმინი „იუნესკოს“ შემოიტანა და დაამკვიდრა „არამატერიალური კულტ. მემკვიდრეობის დაცვის კონვენციამ” (2003 წ.), მისი მიღება კი

გლობალიზაციის საფრთხეების გააზრებამ, ამასთანავე - კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების გარდაუვალობამ განაპირობა. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ძალზე მრავალფეროვანია. ის თავის თავში გულისხმობს ხელოვნებას ხალხური პოეზიიდან კულინარიამდე, უბრალო ხელსაქმიდან ტრადიციულ მედიცინამდე და ასე შემდეგ, თუმცა ყოველი ხსენებული დარგი ხუთ ძირითად მომიჯნავე სახეობაში ერთიანდება, ესენია:

- **ზეპირი ტრადიციები / გამოხატვის ფორმები**
- **საშემსრულებლო ხელოვნება**
- **საზოგადოებრივი პრაქტიკა**
- **გარესამყაროსთან მაკავშირებული გამოცდილება**
- **ხელოსნობის დარგები / ტექნიკები**

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი აუცილებელი ფაქტორია: ტრადიციულობა და მისი გამოყენება; საზოგადოების, თემისა და ჯგუფის მიერ ა.კ.მ.-ის შემადგენელი ნაწილების საკუთარ მემკვიდრეობად მიღება.

უნდა გვახსოვდეს, რომ განსხვავებით მატერიალური კულტურული მემკვიდრეობისგან, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ცოცხალი ტრადიციაა, რომელიც ასევე თაობიდან თაობაზე უნდა გადავიდეს. [8]

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ფარგლებში შეიქმნა ა. კ. მ.-ს წარმომადგენლობით სია, რომელშიც 4 ქართული ნომინაციაა შესული, ესენია:

1. ქართული მრავალხმიანობა 2001 წელს, იუნესკოს მიერ მიერ აღიარებული იქნა კაცობრიობის ზეპირსიტყვიე და ა.მ.-ს შედეგრად, 2008 წელს კი, ა.კ.მ.-ს დაცვის შესახებ კონვენციაზე საქართველოს მიბმის შემდეგ, ქართული მრავალხმიანობა შეიტანეს ა.კ.მ-ს წარმომადგენლობით სიაში;

2. ქვევრის ღვინის დაყენების ძველი ქართული ტრადიციული მეთოდი – შეიტანეს 2013 წელს;

3. ქართული ანბანის სამი სახის ცოცხალი კულტურა –შევიდა 2016 წელს;

[8] კულტურული მემკვიდრეობის დამცველის გზამკვლევი (რედ. მანანა გოშაძე), თბ., 2017 წ., გვ. 11

4. ქართული ჭიდაობა – შეტანილია 2018 წელს;

ქართული ტურისტული პროდუქტის შექმნის თავისებურებების გამოკვლევა მეტად აქტუალურია, ვინაიდან მსოფლიოში ტურისტული მიმოსვლა იზრდება. საქართველოს ტურისტული პროდუქტი, საშინაო ტურიზმის პროდუქტის ჩათვლით, საერთაშორისო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იმისათვის, რომ საქართველო ამაყად იდგეს მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების გვერდით უძველესი ისტორიით, კულტურუთა და მასპინძლობის ტრადიციით. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ წონასწორობა ისტორიასთან, კულტურასთან, თავად ბუნებასთან, რათა გავყიდოთ არა საქართველო, არამედ ტურისტული პროდუქტი, შევიძინოთ მეგობრები, რომლებიც მომავალში არა უბრალოდ მომხმარებლები, არამედ საქართველოს ის თაყვანისმცემლები იქნებიან, ვისთვისაც ჩვენ მხოლოდ მომსახურე პერსონალად არ დავრჩებით.

ძველი თბილისის არამატერიალური კულტურის ნაწილია **ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიცია, ხალხური სამედიცინო ცოდნა-გამოყენების ტრადიციები, ქართული სუფრის კულტურა, ბაზიერობა, ლიტ. ჟურნალი „განთიადი“, „ვეფხისტყაოსნის“ზეპირად ცოდნის ტრადიცია, „ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურა“, ლიტ. ჟურნალი „ცისკარი“, ლაღიძის წყლების ტექნოლოგია / კულტურა** და ა.შ., რაც ასევე იზიდავს დაინტერესებულ სტუმრებს.

თავი 2. ძველი თბილისის უბნები და ტურისტული მარშრუტები

2.1. საექსკურსიო ობიექტები ძველ თბილისში

თბილისი ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრია. საქართველოს დედაქალაქში ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნიდან ასიათასობით ტურისტი ჩამოდის.

თბილისში ტურიზმის განვითარების ფართო შესაძლებლობებს მისი მრავალფეროვანი რეკრეაციული რესურსები განსაზღვრავს. მათ შორის მთავარი ადგილი დედაქალაქის ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს უკავია.

თბილისის ძველი უბნები ისტორიული ძეგლების სიმრავლითა და თავისი კოლორიტით გამოირჩევა. მტრების ხშირი შემოსევებისა და ქართული მატერიალური კულტურის ფასეულობათა განადგურების მიუხედავად, თბილისში, საბედნიეროდ, საკმაოდ დიდი რაოდენობით შემორჩა არქიტექტურული ძეგლები. აღსანიშნავია, რომ ისტორიული ძეგლების „სიმჭიდროვით“ თბილისი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა სხვა ქალაქთა შორის.

თბილისის ძველი ბირთვის ცენტრალური კომპონენტია ***ციხე-სიმაგრე ნარიყალა*** (აშენდა მე-4 საუკუნეში, მრავალჯერ იყო დანგრეული მტრის მიერ და მრავალჯერ - აღდგენილი. მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და რესტავრაცია). იგი მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირას, სოლოლაკის ქედის დაბლობზეა აგებული.

ძველ თბილისში განლაგებულია ქართული მართლმადიდებლური ორი ტაძარი - ***ყოვლადწმიდა სამების სახელობის საკათედრო*** (1995-2004 წწ.) და ***სიონის ყოვლადწმიდა დედოფლისა ჩვენისა, ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამის მიძინების სახელობის*** (აშენდა მე-6 საუკუნეში, მრავალჯერ დაურბევია და დაუნგრევია მტერს, მრავალჯერ იყო აღდგენილი და გადაკეთებული. 1657 წელს ხელმეორედ ააშენეს სიონის გუმბათი, მოხატეს ტაძარი, ხოლო კარიბჭე მოპირკეთდა. 1710 წელს ტაძარი განაახლეს. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, 1795 წელს, ტაძარი მნიშვნელოვნად დაზიანდა. მე-19 საუკუნის დამდეგისთვის, სიონის ტაძარი საფუძვლიანად აღადგინეს, ხოლო ამავე საუკუნის შუა ხანებში მოხატეს.

თბილისში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიების საკმაოდ დიდი რაოდენობაა: ***მეტეხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი*** (აშენდა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში. 638 წელს დაინგრა ხაზარების შემოსევის დროს. შემდგომ აღდგენილ

იქნა. 1235 წელს ტაძარი დაანგრია მონღოლთა ჯარმა. 1278-1284 წლებში ტაძარი ხელახლა ააშენა მეფე დემეტრე II თავდადებულმა. დროთა განმავლობაში, კერძოდ XVI-XVIII საუკუნეებში ტაძარი არაერთხელ დაზიანდა. იყო აღდგენილი და რესტავრირებული. 1819 წელს, ტაძარი გადაკეთდა საპატიმროს სამლოცველო ეკლესიად. 1979 წლიდან, ამ ეკლესიის შენობაში მოქმედებდა მეტეხის თეატრი. 1988 წელს, მეტეხის ეკლესიაში განახლდა წირვა-ლოცვა. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ეკლესიაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები).

ანჩისხატის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია (აშენდა მე-6 საუკუნის დასაწყისში, როგორც ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია, ხოლო ანჩისხატის სახელობის გახდა, როდესაც ამ ეკლესიაში დაასვენეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ჩამობრძანებული სამხრეთ საქართველოდან - ანჩის მონასტრიდან. მე-17 და მე-19 საუკუნეებში ეკლესია შეკეთდა, გადაკეთდა და ჩაუტარდა რესტავრაცია).

წმიდა დიდმოწამე ბარბარეს სახელობის - ქვემო (ნავთლუღის სასაფლაოს ტერიტორიაზე) (აშენდა მე-8 საუკუნეში, გაფართოვდა მე-19 საუკუნის პირველ მესამედში. 1835 წელს, წვიმებმა ისე დააზიანა, რომ იქ წირვა-ლოცვა შეწყდა. მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ეკლესია გარემონტდა და მასში განახლდა წირვა-ლოცვა. 2001 წელს, ეკლესიაში კვლავ ჩატარდა რემონტი) ***და ზემო*** (ბ. ხმელნიცკის ქუჩაზე) (აშენდა მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში. 1883 წელს, ეკლესიაში დაასვენეს წმიდა ბარბარეს წმიდა ნაწილი, რომელიც ჩამოაბრძანეს უკრაინიდან) და ა.შ.

დიდმოწამე წმიდა გიორგის სახელობის - კლდისუბნის ეკლესია (ორთაჭალაში) (აშენდა მე-11 საუკუნეში, კომუნისტური რეჟიმის დროს გამოიყენებოდა როგორც ლაქისა და თოჯინების საამქრო. 1991 წელს, ეკლესია ხელახლა აკურთხეს და მასში განახლდა წირვა-ლოცვა);

ქაშვეთის ეკლესია (რუსთაველის გამზირზე) (აშენდა 1904-1910 წლებში, 1753 წელს აგებული და მე-19 საუკუნეში დაზიანებული ტაძრის ადგილზე. 1947 წელს ეკლესია მოხატა გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა და სხვ.

ანდრია პირველწოდებულის სახელობის „ლურჯი მონასტერი“ (აგებულია მე-12-მე-13 საუკუნეების მიჯნაზე. დროთა განმავლობაში, ეკლესია მნიშვნელოვნად დაზიანდა. მე-

17-მე-18 საუკუნეებში ის უგუმბათოდ აღადგინეს და შიდა სივრცეს ბაზილიკის იერი მიანიჭეს. 1873 წელს, ეკლესიას დაადგეს გუმბათი.

ბეთლემის იესო ქრისტეს შობის სახელობის ტაძარი - ზემო , ააგეს თბილისელმა სომხებმა მე-8 საუკუნეში როგორც ღვთისმშობლის ეკლესია. მე-18 საუკუნეში განახლდა. 1994 წელს გადავიდა საქართველოს მართლმადიდებლური საპატრიარქოს მფლობელობაში. ***და ქვემო*** (ააშენეს ირანიდან გადმოსახლებულმა სომხებმა 1725-1727 წლებში), 1988 წლიდან ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს ეკუთვნის.

ჯვრის მამის სახელობის ტაძარი (მე-16 საუკუნე) - აქ იყო წიგნთსაცავიც.

წმ. ნინოს სახელობის ტაძარი ჩუღურეთში (მე-17-მე-18 საუკუნე), კომუნისტების დროს გამოიყენებოდა სხვადასხვა მიზნებისთვის. 1991 წელს აღდგა წირვა-ლოცვა.

დიდ ინტერესს იწვევს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის (1929 წ.) და დიდუბის (1939 წ.) პანთეონები.

მთაწმინდის პანთეონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი მართლმადიდებლური ეკლესია - იესო ქრისტეს ფერიცვალების სახელობის (მე-19 ს. 40-იანი წლები) და წმ. მამა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესია (მე-19 ს. მეორე ნახევარი).

დიდუბის პანთეონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (მე-18 ს. მეორე ნახ.).

გარდა ზემოჩამოთვლილი ეკლესიებისა, თბლისში სხვა მრავალი მართლმადიდებლური ტაძარი არსებობს და ფუნქციონირებს, რაც ასევე საინტერესოა ტურისტთათვის.

დიდი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულება აქვს სხვა რელიგიური კონფესიების დაწესებულებებსაც: ***რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიებს, სომხურ სამოციქულო ეკლესიებს, რომაულ-კათოლიკურ კათედრალურ ტაძარს, პეტრე და პავლეს სახელობის რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას, სინაგოგებსა და ჯუმა-მეჩეთს.***

ქალაქ თბილისში მრავალი ისტორიული მნიშვნელობის შენობაა. ამ შენობებს მიეკუთვნება თბილისის საკრებულოს (1824-1825), საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის (1818-1821), საქართველოს უზენაესი სასამართლოს (1892-1894), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

(1893-1899), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (1900-1906), 43-ე საჯარო სკოლის (1910), საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა (1913-1916).

ზამთარსა და ზაფხულში თბილისის მცხოვრებლებისა და სტუმრების დიდი რაოდენობა ფუნიკულიორის მეშვეობით ადის მთაწმინდაზე. თბილისის ფუნიკულიორი აშენდა 1903-1905 წლებში, 1936-1938 წლებში აშენდა ზედა სადგურის და 1968-1969 წლებში ქვედა სადგურის ახალი შენობა.[9]

თბილისში, ასევე, სანახავია თეატრები: გრიბოედოვის თეატრი (1845), ოპერის თეატრი (1851), შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (1887), პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატურლი თეატრი (1921), მარჯანიშვილის თეატრი (1928), დუმბაძის საბავშვო თეატრი (1998 წ. - თავდაპირველად იყო ორი - რუსული და ქართული თეატრი 1927-1928 წლებში აშენებული), ვ. აბაშიძის თეატრი (1934), თბილისის მარიონეტების თეატრი (1980) და სხვ.

2.2.ქვეითად სასიარულო ქუჩები და უბნები

აქ ძნელად გაარჩევ, სად მთავრდება ქალაქი და სად იწყება მუზეუმი. ისტორიული თბილისი შენდებოდა მთის ფერდობზე. ქალაქში შენობები საფეხურებად არის განლაგებული. რთული რელიეფი ართულებდა ქალაქ-მშენებლობას. ბუნების და არქიტექტურის კოლორიტი განსაზღვრავს თბილისის განსაკუთრებულ სილამაზეს.

დღევანდელი თბილისი დღითიდღე იცვლის იერს, თუმცა ეს ცვალებადობა მხოლოდ თბილისისთვის მახასიათებელი თვისებების ფონის მიხედვით ხდება.

ისიდორე სევილიელს უთქვამს: „ქალაქი არის არა ქვანი, არამედ მცხოვრებნი მისნი“. თბილისიც ამ მრწამსს მოჰყვებოდა ბოლო დრომდე. თბილისური ფენომენი - უბანი - ტერიტორიის გარდა მოსახლეობის ერთობასაც გულისხმობდა. პროფესიულ ენაზე რომ ვთქვათ, სოციალურ-გეგმარებითი ელემენტების მწყობრი იერარქიული სისტემით „ბინა-ეზო-ქუჩა-უბანი“ იკინძებოდა ქალაქიც და საქალაქო საზოგადოებაც.[10]

---

[9] იორამ თარხან-მოურავი, თბილისი - დედაქალაქი-კურორტი, თბ., 2018 წ., გვ. 27

[10] გივი ბერიძე, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემები, თბ., 2001 წ., გვ. 11

აქ ერთმანეთს ერწყმის გუშინდელი და დღევანდელი დღე, ქალაქის წარსული და აწმყო. შენდება თანამედროვე ნაგებობები, რომლებიც 1500 წლის ქალაქის არქიტექტურულ სახეს ყველა სხვა ქალაქისგან განსხვავებულ და მნახველისთვის მეტად საინტერესო იერს სძენენ. თბილისი კავკასიის რეგიონის უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიულ და სოციალურ-კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. ის გლობალური ენერგომატარებლებისა და სავაჭრო პროექტებისათვის თანდათან უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძი ხდება. თბილისი ისტორიული აბრეშუმის გზის ერთ-ერთ მარშრუტზე მდებარეობს, რითაც, სტრატეგიული მდებარეობის მიხედვით, მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრის პოზიცია უჭირავს ჩრდილო-კავკასიის, რუსეთის, თურქეთისა თუ ტრანსკავკასიის, ასევე სომხეთ-აზერბაიჯანის რესპუბლიკების გადაკვეთაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს არა მარტო საქართველოს დედაქალაქის, არამედ მთელი საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას.[11] ქალაქის ფარგლები ნელ-ნელა უფრო და უფრო გაიზარდა და ავანაანთხევამდე მიაღწია. ეს ადგილი ახლანდელი თავისუფლების მოედნის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩათა გაყოლებით უერთდებოდა მდინარე მტკვარს. სოლოლაკის ქედიდან ამ ხევის მარჯვნივ გალავანი ჩამოვიდა მტკვრამდე. სწორედ ამ გალავნის კედლები გამოჩნდა წლების წინ პუშკინის ქუჩის რესტავრაციისას. გალავანი მტკვრის კლდოვანი ნაპირების იმ მონაკვეთებში ჩაუშენებიათ, საითაც მდინარიდან ადვილი მისადგომი იქნებოდა.ქალაქის იმ უბანს, რომელიც გალავანში მოექცა, წავკისწყალა და ავანაანთ ხევს შორის მოქცეულ ნაწილს კი კალა ეწოდა. თბილისში რამდენიმე კარიბჭე იყო დატანილი: კოჯრის კარი - ახლანდელ თავისუფლების მოედანთან კოტე აფხაზის ქუჩის დასაწყისში, დიღის კარი - ამჟამინდელი ვერცხლის ქუჩის დასაწყისში. მეიდნის კარი ხიდით - ახლანდელი ჩახრუხაძის ქუჩის თავში, საბაჟოს კარი - აბანოთუბანში, ასევე წავკისისწყლის ქვედა ხიდთან და განჯისკარი - ბოტანიკური ბაღის დასაწყისში წავკისის წყლის ზემოთა ხიდთან. ქალაქის გალავნის გარეთ იყო გაბნეული ბაღ-ვენახები და დიდაზნაურთა მამულები. სხვადასხვა დროს თბილისი გალავნის გარეთ ფართოვდებოდა, რის მერეც ამ

[11] ისტორიული თბილისი, კულტურული ასპექტები (მოხსენებათა კრებული), თბ., 2013 წ., გვ. 20

ადგილს გარეთუბანი ეწოდებოდა. ომიანობისას გარეთუბანი ვერანდებოდა, ქალაქი კი ისევ გალავნის ფარგლებში ექცეოდა. ის ვითარდებოდა რთულ გეოგრაფიულ რელიეფზე, მდინარე მტკვრის გასწვრივ, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მის გეგმარებით ქსოვილსა და არქიტექტურულ-სივრცობრივ იერსახეზე. მდინარე მომცრო კუნძულებითა და რიყეზე ჩამწკრივებული წყლის წისქვილებით ქალაქის სილუეტში იყო ჩართული. გარშემო არსებული ბუნება და მთიანი პეიზაჟი შესამჩნევ დაღს ასვამდა ქალაქის არქიტექტურას და ერთ მთლიანობაში აღიქმებოდა.

მუდმივმა ომიანობამ კვალი დაატყო ქალაქის განვითარებას და პერიოდულად აღარ აძლევდა მას გაფართოების საშუალებას - მშვიდობიანობის დროს გაზრდილი ქალაქი ძნელბედობისას ისევ მცირდებოდა. თბილისი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში თავისი სიდიდითა და 100 000 მცხოვრებით მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი ქალაქი იყო, მე-18 საუკუნის ბოლოს კი ოცი ათასი მოსახლეც აღარ შემორჩა. ამ გარემოებამ დაღი დააჩნია მის განვითარებას. თუკი თავისი ისტორიის პირველ ნახევარში ქალაქ თბილისის განვითარება ევროპისა და წინა აზიის იმავე მასშტაბის ქალაქების მსგავსად და უკეთესადაც მიმდინარეობდა, გვიან შუა საუკუნეებში ქალაქმა გამოტოვა ურბანიზაციის უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ამიტომაა, რომ განსხვავებით ევროპის უმრავლესი ქალაქებისგან, თბილისის ახლანდელი ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი ძველი ქალაქის ტერიტორიასთან თანხვედრაში არ მოდის.

ევროპული ქალაქები გვიანი ფეოდალური ხანის ადრეულ ეტაპზევე გამოვიდნენ პირველი ბირთვის ფარგლებიდან და ურბანულად განვითარდნენ. თბილისში გარეუბნების ურბანიზება წყვეტილად ხდებოდა და მისი ჩამოყალიბება უკვე მე-19 საუკუნეში გახორციელდა.

ახალი დროის შესაბამისად, ძველი ბანიანი და დარბაზული ტიპის სახლები მე-19 საუკუნის ეზოიან-აივნიანმა სახლებმა შეცვალა. სწორედ თბილისის უსწორმასწორო რთულ რელიეფსა თუ ვაკე ადგილებზე სხვადასხვა სტილით ნაგები საცხოვრებელი სახლები ქმნიან დღემდე ძველი ქალაქის ძირითად ქსოვილს. ძველი თბილისის საცხოვრებელი სახლების მაღალმხატვრული ნიმუშები კი მნიშვნელობასა და თავისებურებას ჰმატებენ ქალაქის არქიტექტურას. თბილისის რთულ-რელიეფიანი

ნაწილების ტერასულად განლაგებული სახლების (ციხისუბანი, კლდისუბანი, ბეთლემისუბანი კალაში, დარეჯან დედოფლის სასახლის მიმდებარე მოშენება, კლდის პირას აშენებული აივნიანი სახლები ისანში, თაბორის მთის კალთებზე შეფენილი ქუჩებისა და სხვ.) განუყოფელი ნაწილია ქუჩა-კიბე. ქუჩა-კიბეებისა და ვიწრო შუკებით ერთმანეთთან დაკავშირებული ტერასები და ცალკეული სახლები მნიშვნელოვნად განაპირობებს ძველი თბილისის გარეგნულ სპეციფიკას.

მე-18 საუკუნის მიწურულში, სპარსელთა შემოსევის შემდეგ დანგრეული ქალაქის უხშირესად ძველ საძირკვლებს მორგებული მეცხრამეტე საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთში და მეოცე საუკუნის დასაწყისში აშენებული საერო ნაგებობები (საცხოვრებელი სახლები, ქარვასლები) სხვადასხვა სტილით შენდებოდა. ისლამური არქიტექტურისა და ევროპული სტილის ნიშნები ადგილობრივი ტრადიციით ნაკარნახებ ჯერ ხის, შემდეგ რკინის აივნებსა და გადასასვლელებს ერწყმოდა და თბილისური ქარვასლებისა და საცხოვრებელი შენობების არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიმუშები იქმნებოდა.

მაგრამ ის, რაც თბილისს უნიკალურ მოვლენად წარმოგვიდგენს მსოფლიოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქების ფონზე, ეზოიანი საცხოვრებელი სახლის ორი ტიპისა (სახლი გახსნილი ტიპის ეზოთი და სახლი დახურული ტიპის ეზოთი) და მათი სხვადასხვა ვარიანტის ქალაქურ ქსოვილში გარკვეული თანამონაცვლეობით განლაგებაა. სწორედ გახსნილ-ეზოიანი სახლია საცხოვრებლის ის ტიპი, რომელიც მხოლოდ თბილისში გვხვდება და რომელიც ასე ხიბლავს ჩამოსულ ტურისტს.

გახსნილეზოიანი, ისევე, როგორც დახურულეზოიანი სახლის არქიტექტურისთვის, მე-19 საუკუნის თბილისის არქიტექტურისათვის და, ზოგადად, ევროპული ქალაქებისათვის დამახასიათებელია სტილური მრავალფეროვნება. თბილისში კლასიციზმი, ბაროკული და რენესანსული ეკლექტიზმი, ისლამური ნიშნები თუ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან Art Nouveau-ს სტილი ადგილობრივი არქიტექტურის ტრადიციულ ელემენტებს - ხის აივნებსა და გადასავლელებს ერწყმის. მე-19 საუკუნის მიწურულის თბილისის არქიტექტურაში რომანტიზმის ნიშნებიც შეინიშნება, რაც ეზოიანი სახლის ფასადების ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორით მორთვაში

აისახა. სივრცითი სტრუქტურის აღწერილი ერთეულის არსებობა არა მხოლოდ კალა-ისან-სეიდაბადში, არამედ თბილისის სხვა ძველ უბნებში აქცევს თბილისს დიდად საყურადღებო მოვლენად ქალაქის სივრცითი ორგანიზაციის თვლსაზრისით. აღსანიშნავია, რომ თბილისის უძველესი უბნების სივრცითი ორგანიზაციის ეს ტრადიცია უფრო მოგვიანებით, მთლიანად მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბებულ უბნებზეც (სოლოლაკი, მთაწმინდის კალთის განაშენიანება, შოთა რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის პროსპექტების მიმდებარე კვარტლები) გავრცელდა და მეტიც - გახსნილი ტიპის ეზოიან სახლებს ვერის უბნის ჯერ კიდევ გადარჩენილი კვარტლებიც შეიცავს.

თბილისის ისტორიული უბნების ტოპოგრაფიით ნაკარნახევი და მის ბუნებრივ პირობებში დაბადებული არქიტექტურული ფორმები თუ ხერხები ის ტრადიციაა, რაც ახალმა უბნებმა (ვერა, ნაძალადევი, დიდუბე და სხვ.) შეითვისა და და რასაც ახალი თბილისის განვითარება დაეყრდნო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. ქუჩა-კიბეებისა და შუკების სისტემა, ეზოიანი სახლებისაგან შემდგარი კვარტლები, შერწყმული ხან რთულ და უსწორმასწორო, ხან - ვაკე რელიეფს, ქარვასლების განაშენიანებიდან ამოზიდული ნაგებობები კალაში, აბანოების გუმბათიანი შენობები საკუთრივ თბილისში, ბოლოს კი ნარიყალას ციხის ნანგრევები და ძველი ქალაქის ქსოვილში გაფანტული სხვადასხვა ეკლესიის სივრცითი ნიშნები შეადგენენ უხსოვარი დროიდან ჩამოყალიბებულ კლდოვან რელიეფთან შეთანხმებულ, ერთ მხატვრულ ქსოვილად შეკრულ ჰარმონიულ მთლიანობას. [12]

თავი 3. ძველი თბილისის რესტავრაცია და თვითმყოფადობის შენარჩუნება

3.1. ძველი თბილისის რესტავრაცია და ტურიზმი

ჩვენამდე მოღწეული ძველი ქალაქის განაშენიანება, ძირითადად, შედგება მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აშენებული საცხოვრებელი სახლებისგან.

[12] მაია მანია, თბილისის დასაცავი ფასეულობა, თბ., 2009 წ., გვ. 10

დღევანდელი განაშენიანება „კალაუბანში“, უმეტესად, წარმოადგენს ზედნაშენს ადრინდელი შენობების საძირკვლებზე, სარდაფებზე თუ მიწისქვეშა სართულებზე. ყოველივე ამის გამო, აქ ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა, ძირითადად, იმეორებს გვიან ფეოდალური ხანის ქალაქგეგმარებით სტრუქტურას, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად სახეცვლილია მეტეხის ხიდის მიმდებარე განაშენიანება და სამეფო კარის სივრცის გეგმარებითი სტრუქტურა.

ამ სტრუქტურის ძირითადი მახასიათებელი ქუჩების ქსელი კალაუბანსა და ისანში, უმეტეს შემთხვევებში, აღმოჩნდა იდენტური ადრინდელ პერიოდთან, რაც დასტურდება პროფ. თენგიზ კვირკველიას გამოკვლევით. აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისის ისტორიული განაშენიანების არქიტექტურული ანალიზი და ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის თავისებურებები განხილულია ვ. ბერიძის, ვ. ცინცაძის, თ. კვირკველიას, პ. იოსელიანის, ს. კინწურაშვილის და სხვა ავტორების ფუნდამენტურ გამოკვლევებში.

დადგენილია ისტორიულ ძეგლთა ნუსხა კატეგორიების მიხედვით, რომელიც დღესდღეობით გადახედვას საჭიროებს. შემორჩენილია ზოგიერთი ისტორიულ-კარტოგრაფიული რუკა მდიდარი ფოტო-მასალითა და მოგზაურთა ჩანახატებით (სამწუხაროდ, 1990-იანი წლების ცნობილი მოვლენების დროს ბევრი მათგანი ხანძარმა გაანადგურა).

რაშია თბილისური ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის თავისებურება და რისი შედეგია იგი? როგორც ცნობილია, ძველი თბილისი ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე და ამდენად მას შუა საუკუნეებში ფორმირებული ქალაქებისატვის დამახასიათებელი საერთო ქალაქთმშენებლობითი ნიშან-თვისებები გააჩნია. ისტორიული თბილისის „კალაუბნის“, ნაწილობრივ „ისნის“, სხვა ქვეყნების შუასაუკუნოვანი ქალაქების სქემებთან შედარებისას გამომჟღავნდა მსგავსებები: მოსახლეობის სიმჭიდროვეში, ქუჩების ქსელების სიმრავლესა და სივიწროვეში, რეგულარული და არარეგულარული მოშენების არსებობაში, განაშენიანების სართულიანობის მსგავსებაში, საკულტო ნაგებობების დომინანტად არსებობაში. ამავე დროს, სრულიად ნათლად გამოვლინდა

მათი განსხვავებული ნიშან-თვისებები, მათ შორის სივრცის მხატვრულ-კომპოზიციური ღირსებებიც.[13]

თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, ძველი თბილისის ზონა, მიუხედავად თავისი შთამბეჭდავი არქიტექტურის არსებობისა, მნიშვნელოვნად დაკნინდა, ვინაიდან დედაქალაქური მასშტაბის თბილისური ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურის სიმკვრივე წაიშალა 1950-იან წლებში მეტეხის ხიდის მშენებლობის გამო. მოხდა სრულიად გაუმართლებელი რამ, დაინგრა აბოს ხიდის და ე. წ. ვირის ხიდის მოშენება „მაედნის“ მხრიდან. ეს ყველაფერი შეეწირა ახალი ხიდის მშენებლობას და ამ ზონაში მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გაყვანას. ცხადია, შესაძლებელი იყო ამ ორი მშენებლობის გახორციელება ნაკლები დანაკარგებით. დღეს, საჭიროა გახორციელდეს ამ ზონის არქიტექტურული სივრცის რეაბილიტაცია იმ პარამეტრებში, რის საშუალებასაც მოგვცემს ისტორიული განაშენიანების სქემის თანამედროვე განაშენიანების სქემასთან შეთავსების შედეგად გამოვლენილი გეგმარებითი პოტენციალი.

ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამა თავიდანვე ითვალისწინებდა სახელმწიფოს, მოსახლეობის, მენაშენეებისა და საბანკო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით თბილისის ყველაზე ცნობილი და ტურისტულად საინტერესო უბნების საბინაო და ინფრასტრუქტურულ რეაბილიტაციას, რისი გახორციელებაც შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია და სახელმწიფოსთვის ის განსაკუთრებულად მომგებიანია მნიშვნელოვანი თანმდევი ეკონომიკური და სოციალური ეფექტების გამო.

ძველი თბილისის ერთ გარკვეულ ტერიტორიას (თითქმის მთლიანად) და კერძოდ განაშენიანების მაორგანიზირებელს წარმოადგენდა იოანე პეტრიწის სახელობის ქუჩა-მოედანი, რომლის ღერძის გასწვრივ აკინძული იყო მთელი ურბანული სტრუქტურა თავისი გახსნებით სიონზე, მამადავითზე, ასევე მთავარ ღერძზე - საჩინო-მეტეხზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ რიყის ტერიტორიაზე, გარდა ხიდების ზონისა, განთავსებული იყო საქონლის, ბზისა და თივის ბაზარი. აქ მე-19 საუკუნეში განაშენიანება

[13] კ. ამირეჯიბი, ვ. აფციაური, გ. ბერიძე, თ., გუგუშვილი, ვ. ვარდოსანიძე, მ. თუმანიშვილი, ზ. კიკნაძე, თბილისის ქალაქთმშენელობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები“, წ. 2, თბ., 2004 წ., გვ. 53

გახორციელდა . ქალაქურად, თბილისში დამკვიდრებული პრინციპებით. ამდენად, ამ უბნის რეაბილიტაცია უნდა ითვალსიწინებდეს ისტორიული ურბანული სქემის აღდგენას, რომელიც გააჩნდა ამ უბანს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს ტერიტორია მოქცეულია ორ სატრანსპორტო კვანძს - მეტეხის ხიდსა და ბარათაშვილის ხიდს შორის (ეს ამოცანა რეაბილიტაციისა შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ - ძველი თბილისის ნაწილის იერსახე შენარჩუნებულია, ნაწილი კი თანამედროვე ურბანიზაციის გავლენის ქვეშ მოექცა).

თბილისის მერიის პროექტის „ახალი ტფილისი" ფარგლებში, აღმაშენებლის გამზირზე, მარჯანიშვილის მოედნით დაწყებული ზაარბრიუკენის მოედნით დამთავრებული - ამ მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია გახორციელდა და გამზირის გარკვეული ნაწილი საფეხმავლო გახდა. დაიდგა სკამები და დასალევი წყლის ნიჟარები. დამონტაჟდა ლითონის ექვსი ქანდაკება. გახორციელდა გამწვანების სამუშაოები. მოეწყო ვერტიკალური ბაღი შენობის კედელზე, დაირგო ხეები, კეთილმოეწყო სკვერები, დეკორატიული ყვავილებით გაფორმდა ფასადები. „ახალი ტფილისის" პირველი ნაწილის სამუშაოები დაიწყო 2016 წლის თებერვალში და რეაბილიტაცია ჩატარდა სხვადასხვა მიმართულებით. გამზირზე მთლიანად შეიცვალა საკომუნიკაციო სისტემა: წყლის, გაზის, საკანალიზაციო მილები, ინტერნეტისა და დენის ქსელები. მოეწყო სადრენაჟე / სანიაღვრე სისტემა, რომლის არარსებობის გამოც საფრთხეში იყო შენობების კონსტრუქციული მდგრადობა. აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ისტორიულ სადარბაზოებს ჩაუტარდა რესტავრაცია, რეაბილიტაციის პროცესში კი სადარბაზოებსა და ფასადებზე ნაპოვნი მხატვრობები და ისტორიული წარწერები ისევ აღდგა. განსაკუთრებულად დაზიანებულ ეზოებში ჩატარდა შუშაბანდების რესტავრაცია და ეზოები კეთილმოეწყო. სახლებზე გაკეთდა სრულიად ახალი ცხაურები. პირვანდელი სახით აღდგა ორმოცდაშვიდი ისტორიული შენობა, რომელთაგან ოცდათვრამეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. კონსტრუქციულად გამაგრდა შენობა-ნაგებობები, პირველადი იერსახით აღდგა შენობების ფასადები და მასზე არსებული ისტორიული ორნამენტები. მთლიანი რესტავრაცია ჩაუტარდა ძველებურ აივნებს, კარებებსა თუ ჭიშკრებს. მთელ გამზირზე დამონტაჟდა გარეგანათების სისტემა, დაეგო

სხვადასხვა სახეობის ქვაფენილი, მოეწყო გზის საფარი. პროექტის „ახალი ტფილისი“ პირველი ეტაპის რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტიდან 30 მილიონამდე ლარი დაიხარჯა და სამუშაოები აღმაშენებლის გამზირზე გახორციელდა, სულ ახლახან კი ამავე დონეზე გაკეთდა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს (კვლავაც პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში) მშრალი ხიდის, ორბელიანის მოედნისა (ეს უკვე გაიხსნა) და მიმდებარე ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია.[14]

3.2.ძველი თბილისის თვითმყოფადობის შენარჩუნება

ქალაქის განვითარებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია, როგორ ინარჩუნებს ეს ქალაქი იმას, რითაც სხვებისგან გამორჩეულია, როგორ არ კარგავს ხიბლს და როგორ ახერხებს, იყოს მუდმივად საინტერესო. თბილისის იდენტობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტურის ისტორიკოსი მაია მანია ამბობს: „თბილისს რომ განსაკუთრებული სული აქვს, ამაში ყოველ წუთს შეგიძლია დარწმუნდე, მთავარია ფეხით გაიარო ძველ უბნებში და მას ყველგან წააწყდები - ძველი სახლების ძველ აივნებზე, ვიწრო ქუჩებსა და ეზოებში. სულ მაქვს გრძნობა, რომ, ამდენი ნგრევისა და ამდენი დანაკარგის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია გადასარჩენი. იცით რა ქმნის ამ სულს? ქალაქის ავთენტური ნაწილები. რომ არა ავთენტური ნაწილები, სული დაკარგული იქნებოდა. სულის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ქალაქის ტოპოგრაფია, ანუ ის ოროგრაფიული ბუნება, რაზეც ქალაქი აშენდა, იმიტომ რომ იმთავითვე რაღაც ძალიან თვითმყოფადს მოერგო თბილისი.”[15] მართლაც რომ აუცილებელია ძველი თბილისის კონტურის შენარჩუნება. დაუშვებელია, მოუვლელობის გამო ინგრეოდეს ძველი სახლები. სპეციალისტთა აზრით, ერთ-ერთ პრიორიტეტად ხელისუფლებამ სწორედ ამ უბნების რესტავრირება და პირვანდელი სულის შენარჩუნება უნდა დაისახოს.

არქიტექტორების აზრით, ქარვასლის გვერდით რკინის კონსტრუქციის გაჩენამ ხედი დაკეტა. მას შემდეგ თბილისის მერია ცდილობს, ძეგლებს პირვანდელი სახე და სული

[14] დავით აღმაშენებლის გამზირის საფეხმავლო ნაწილი გაიხსნა, 26.09.2016 წ. http://www.city.kvira.ge/2016/09/26/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1

[15] ნინო თარხნიშვილი, ძველი თბილისის სულის გადასარჩენად, 04.06.2010 წ. https://www.radiotavisupleba.ge/a/2062159.html

შეუნარჩუნდეს. არის სახლები, რომლებიც რესტავრაციას აღარ ექვემდებარება და ისინი დაუყოვნებლივ დემონტაჟს საჭიროებენ, თუმცა მათ ძეგლის სტატუსი არ აქვთ. მთლიანად უნდა შეიცვალოს და იცვლება კიდეც კომუნიკაციები, ეწყობა ახალი სანიაღვრე სისტემები და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. აუცილებელია, მომავალ თაობებს შეუნარჩუნდეთ უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ძველი თბილისი სრულყოფილად უნდა შევინარჩუნოთ, რომ საერთოდ არ დაიკარგოს მისი უნკალურობა, ვინაიდან, როგორც მკვლევარები ამბობენ: „ეს იქნება სერიოზული დანაკარგი არა თბილისისათვის, არამედ მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებისათვის. რადგან ჯერ კიდევ 2000 წელს იუნესკომ აღიარა, რომ ძველი თბილისი არის სრულიად განსაკუთრებული და უნიკალური და რომ აუცილებელია მისი დაცვა".[16]

საბოლოო ჯამში, თბილისის ზემოხსენებული რესტავრაციისა და რეაბილიტაციის შემდეგ მოხერხდა მთავარი - ჯერჯერობით მკვეთრად შენარჩუნდა თბილისის იერსახე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ შეცვლილია, ბევრი კი კვლავაც შესაცვლელია, ერთი უდავოა - ძველი თბილისი კვლავ იზიდავს მნახველს, ვინაიდან არ დაუკარგავს ის თვითმყოფადობა, რაც ასე საჭიროა თავად ქალაქის მაცხოვრებლებისა და ტურისტებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზი

მოცემულ თემასთან დაკავშირებით, კერძოდ კი, საკვლევი კითხვის საფუძველზე, ჩავატარეთ კვლევა, რომლის შედეგებსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

[16] ნინო თარხნიშვილი, ძველი თბილისის სულის გადასარჩენად, 04.06.2010 წ. https://www.radiotavisupleba.ge/a/2062159.html

კითხვაზე, თუ „რამდენად საინტერესოა ტურისტებისათვის თბილისის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“, გამოკითხულთა 10%-მა უპასუხა, რომ ეს არის ის, რისთვისაც ტურისტები აქ ჩამოდიან, 19%-მა აღნიშნა, რომ თბილისის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მართლაც ძალიან საინტერესოა, 30% ფიქრობს, რომ, რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუმცა მხოლოდ თბილისი არა. გამოკითხულთაგან არავინ ფიქრობს, რომ ტურისტებს თბილისი ნაკლებად აინტერესებთ, რადგან მთა და საზღვაო კურორტები უფრო იზიდავთ, რაც ძალიან სასიამოვნოა, უმრავლესობას - 39%-ს მიაჩნია, რომ თბილისი ყოველთვის იყო თავისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით განსაკუთრებულად საინტერესო უცხოელი ტურისტებისთვის, ხოლო სულ 6-მა თქვა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.



მეორე კითხვაზე - „ძველი თბილისის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მთელი თბილისის მთავარი ღირძია იმისათვის, რომ უცხოელებისთვის საინტერესო იყოს?“ - პასუხები ასე გადანაწილდა: 26%-მა გვიპასუხა, რომ დიახ, ყველაზე მეტად ძველი თბილისი ხიბლავთ ტურისტებს თავისი მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით; 13%-მა ეს აზრი უარყო და აღნიშნა, რომ ძველი და ახალი თბილისი ერთნაირად საინტერესოა ტურისტთათვის, ძალიან მცირე ნაწილი - 3% (და მაინც გასაკვირია) ამბობს, რომ მხოლოდ ახალი თბილისიც კი დააინტერესებდათ უცხოელებს, ამდენივე - 3% სრულიად საპირისპიროს ფიქრობს, კერძოდ კი, მათი აზრით, რომ არა ძველი თბილისი, ალბათ არავინ დაინტერესდებოდა ამ ქალაქით, ხოლო გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა - 55% აღნიშნავს, რომ ძველი თბილისი თავისი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობითა და ახალი ელემენტებით ბევრად საინტერესოა ტურისტებისთვის, ვიდრე მხოლოდ თანამედროვე ქალაქის შემთხვევაში იქნებოდა.



კითხვა **„რა აზრის ხართ ძველი თბილისის უბნებსა და ტურისტულ მარშრუტებზე?“** - ასეთ შედეგებს გვაძლევს: 37% ფიქრობს, რომ ძველი თბილისი ძალიან საინტერესოა და ბევრ კარგ მოგონებას დაუტოვებს მნახველს, საბედნიეროდ არავინ ფიქრობს, რომ თბილისი მოძველდა და აღარავის აინტერესებს, დიდი უმრავლესობა - 60% აღნიშნავს, რომ სწორედ ეს უბნები ხიბლავთ და იზიდავთ უცხოელ ტურისტებს და, შესაბამისად, ტურისტული მარშრუტებიც მოწონებით სარგებლობს მათში, 3%-ს კი ამ კითხვაზე ჩამოყალიბებული პასუხი არ აქვს.



თემიდან გამომდინარე, ბუნებრივია, დაგვაინტერესა გამოკითხულთა აზრმა იმასთან დაკავშირებით, **თუ ძველი თბილისის რესტავრაციისას რამდენად უნდა იყოს შენარჩუნებული ძველი ქალაქის თვითმყოფადობა? –** რაზეც ასეთი პასუხები მივიღეთ: 5%-მა გვითხრა, რომ სულერთია, მთავარია სრული რესტავრაცია ჩატარდეს და განახლდეს ქალაქი, ამდენივემ თქვა, რომ არ არის საჭირო თვითმყოფადობის შენარჩუნება, რადგან ახალი სახე უფრო საინტერესო იქნება, რაც გასაკვირი აღმოჩნდა თუნდაც ასეთი მცირე ნაწილისგან, მთელმა 90%-მა კი აღნიშნა, რომ ძველი თბილისი უნდა განახლდეს, მაგრამ არ უნდა შეიცვალოს ის მთავარი, რაც მას უნიკალურს ხდის, რადგან სწორედ ეს გამოარჩევს მას სხვა ქალაქებისგან.



რესპოდენტებს ვკითხეთ, რამდენად იგრძნობა მასობრივი ტურიზმის გავლენა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე თბილისის ძველ უბნებში, რაზეც 45%-მა გვიპასუხა, რომ გავლენა აშკარაა, რადგან რომ არა მასობრივი ტურიზმი, შესაძლოა, ძველ თბილისს დაეკარგა თავისი თვითმყოფადობა; 32%-მა აღნიშნა, რომ მასობრივი ტურიზმი მნიშვნელოვანია, თუმცა მას არსებითი როლი არ აკისრია ძველი თბილისის ისტორიულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში; 9%-ის აზრით, არანაირად არ აქვს ტურიზმს გავლენა ძველი თბილისის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე - აქ ისინი კავშირს ვერ ხედავენ; 6%-ს პასუხი არ აქვს, 4-4 პროცენტს კი ორი პასუხი ინაწილებს: 1. ის, რომ ტურისტების დიდმა რაოდენობამ უფრო მეტად წაახალისა ძველი უბნების რეაბილიტაცია, თუმცა მასობრივმა ტურიზმმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქალაქის თვითმყოფადობას და 2. მასობრივი ტურიზმი საფრთხეს უქმნის ქალაქის ავთენტურ სოციო-კულტურულ ლანდშაფტს და თავისი უარყოფითი წვლილი შეაქვს ურბანული თვითმყოფადობის დაკარგვაში.



„რა გაკეთდა ანდა რა შეცდომები იქნა დაშვებული გასული 15 წლის მანძილზე ძველი თბილისის ახალი იერსახის მინიჭებისას? შეექმნა თუ არა მას თვითმყოფადობის

დაკარგვის საფრთხე?“ - ამ კითხვაზე მთელმა 90%-მა ერთნაირი პასუხი გასცა. მათ მიაჩნიათ, რომ ძველ თბილისში ადრეც მოხდა განახლებები, თუმცა ზოგიერთმა დაამახინჯა თბილისის იერსახე - როდესაც ძველ კულტურულ ძეგლებთან ერთად გაჩნდა მინის ან რკინის ნაგებობები, რაც სრულიად იყო და არის ამოვარდნილი საერთო კონტექსტიდან. 6%-ის აზრით, ბევრი გაკეთდა და არანაირი შეცდომა არ დაშვებულა, 4%-მა კი ამაზე პასუხი ვერ გაგვცა.



საინტერესო იყო გამოკითხულთა აზრი დღევანდელ სიტუაციასთან დაკავშირებით - **თუ რამდენად ზრუნავს ხელისუფლება ძველი თბილისის რესტავრაციასა და მისი თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე? რა კეთდება ამ მხრივ?** – 45%-მა აღნიშნა, რომ

ხელისუფლება ნამდვილად ზრუნავს დღეს ქალაქზე და, კერძოდ, ძველ თბილისზე. მათი აზრით, ადრე თუ კეთდებოდა უხარისხოდ, ახლა ძველი თბილისი იბრუნებს თავის ნამდვილ იერსახეს და, ამავე დროს, მის კეთილმოწყობაში, მიუხედავად ახალი ელემენტების შეტანისა, რჩება ის მთავარი, რაც აუცილებელია ქალაქის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. შედარებით ნაკლები - 35%-ის აზრით, ხელისუფლება ცდილობს, მაგრამ ბევრს ვერაფერს აკეთებს; 12%-ს მიაჩნია, რომ ხელისუფლება არ ზრუნავს ძველ თბილისზე და საერთოდ ქალაქზე, ხოლო 8%-ს ამაზე პასუხი არ აქვს.



„როგორ შეადარებდით თბილისსა და ევროპული ქვეყნების დედაქალაქებს - რას უნდა ვითვალისწინებდეთ მათი გამოცდილებიდან?“ - ასეთი იყო ჩვენი მომდევნო კითხვა. 39%-მა გვიპასუხა, რომ თბილისი ჯერ შორს არის ევროპული ქვეყნების

დედაქალაქებისგან და საჭიროა მათი დადებითი გამოცდილების ჩვენს რეალობაში გადმოტანა; 6%-ის აზრით, თბილისი ყოველთვის ახლოს იყო სხვა ევროპულ ქალაქებთან და ახლაც ასეა, არავინ ფიქრობს, რომ თბილისი ადრე უფრო ჰგავდა ევროპულ ქალაქებს და დღეს იერსახე დაკარგული აქვს, ყველაზე მეტის - 49%-ის აზრით, თბილისი ნელ-ნელა უკვე ვითარდება და საჭიროა, მივბაძოთ სხვა ევროპულ ქალაქებს, სადაც ყველაფერი გეგმაზომიერია და თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს, 3-3 პროცენტი კი ვერც შედარებას ახდენს და ვერც კონკრეტულ პასუხს იძლევა.



რესპოდენტებს ვკითხეთ, **როგორ პარალელს გაავლებდნენ ადრინდელ ძველ თბილისსა და რესტავრირებულ ძველ თბილისს შორის - რომელს ანიჭებენ უპირატესობას? რომელი მოხიბლავდა ჩამოსულ სტუმრებს? –** 16%-მა გვითხრა, რომ ადრინდელი ძველი თბილისი ბევრად მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე ახლანდელი ძველი თბილისი და რომ მათთვის

სწორედ ისეთი თბილისია მისაღები, სტუმრებისთვის მაგივრად კი ვერაფერს ამბობენ; უმრავლესობის - 52%-ის აზრით, ადრინდელი ძველი თბილისი ბევრად გემოვნებიანი განაშენიანებით გამოირჩეოდა, თუმცა ახლანდელი ძველი თბილისი ერთად იტევს ძველსა და ახალს, რაც გაცილებით მიმზიდველია ალბათ ყველასთვის. 22%-მა გამოთქვა აზრი, რომ ძველი თბილისი უნდა დარჩეს მხოლოდ ქალაქის ტურისტულ ნაწილში, თუმცა უნდა ჰქონდეს ახალი სახე, რითაც ის ევროპულ ქალაქებს დაემსგავსება; 3%-სთვის ადრინდელი და ახალი ძველი თბილისი ერთი და იგივეა, რადგან არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, 7%-ს კი ამაზე კონკრეტული პასუხი არ აქვს.



და ბოლოს, კითხვაზე **თქვენი აზრით რა არის თბილისის ისტორიული უბნების მთავარი გამოწვევა კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის და როგორ უნდა მოგვარდეს ის?** – 64%-მა თავი შეიკავა,ხოლო 4-4-მა პროცენტმა კი აღნიშნა, რომ მთავარი გამოწვევა ამ ადგილებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ტექნიკის ხშირი შემხებლობა, რაც განხვავებულ იერს იძლევა ჯამში; რომ

თბილისმა უნდა შეინარჩუნოს ძველებური ხიბლი და ამასთანავე მოხდეს მისი ჰარმონიული შერწყმა თანამედროვე არქიტექტურასთან, ამდენივემ თქვა, რომ ეს უნდა მოგვარდეს ძველი შენობებისა და ქუჩების ისე რესტავრირებით, რომ არ დაიკარგოს მათი ძველი იერსახე, გარდა ამისა საჭიროა თანამედროვე სტანდარტებზე მორგებაც, ძველისა და ახალის შერწყმა კი უნდა მოგვარდეს უკვე არსებული (უცხოური) გამოცდილების საფუძველზე, ასევე ძველი შენობებისა და ქუჩების ისე რესტავრირებით რომ არ დაიკარგოს მათი ძველი იერსახე, გარდა ამისა, მათი აზრით, საჭიროა თანამედროვე სტანდარტებზე მორგებაც, ძველისა და ახალის შერწყმა უნდა მოხდეს უკვე არსებული (უცხოური) გამოცდილების საფუძველზე.

ასევე 4%-ის აზრია, რომ ისტორიული მემკვიდრეობა მარტო კონკრეტული შენობა არ არის, ეს მის გარშემო მიმდებარე ტერიტორიაცაა. დღეს ეს ასეთად არ აღიქმება და არ უყურებენ უბანს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს. მთავარი გამოწვევა და საფრთხე კი, მათი აზრით, არის ის, რომ ისტორიულ უბნებში დღეს გაჰყავთ ტურისტული ბილიკები, ჩვენ ვეუბნებით ტურისტს, სად უნდა წავიდეს, რაც ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია.

მთავარი გამოწვევაა ქალაქის სოციალური გარემოსა და კულტურული ლანდშაფტის „ტურისტიზაცია“ და ყოველდღიური სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობების მორგება ტურიზმზე, და არა პირიქით, როგორც ეს ევროპის მოწინავე ტურისტულ ქალაქებშია. ქალაქი უნდა არეგულირებდეს და ფორმას აძლევდეს ტურიზმს, და არა ტურიზმი ქალაქს. 4 პროცენტის აზრით, საინტერესოა პატარა აივნებიანი სახლები, ასეთივე კოხტა ქუჩები, ისინი მთლიანად ასეთ თბილისს ისურვებდნენ.

4% ფიქრობს, რომ თბილისი ინახავს ისტორიულ წარსულს, შენობა-ნაგებობები თუ ღირსშესანიშნავი ადგილები ეს ის არის, რისთვისაც ტურისტები ჩამოდიან და ინტერესდებიან ქალაქით. თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, რომ არ დაზიანდეს ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და უფრო და უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ ჩვენს ქვეყანაში.

და კიდევ 4%-ის თქმით, თბილისის ისტორიული უბნების გამოწვევა არასათანადო მთავრობაა, არასაკმარისი მატერიალური რესურსი, სხვა ქვეყნების მაგალითებზე

დაფუძნებული ცოდნის არქონა და უინტერესობა, კორუფცია, არაპროფესიონალიზმი და არარსებული რეგულაცია დეველოპერებსა და სხვა ოლიგარქ მტრებთან სამართლებლივად საბრძოლველი.



დასკვნა

როგორც ვნახეთ, კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა დიდი ნაწილი პოზიტიურად არის განწყობილი თბილისში ტურიზმის განვითარების მიმართ. ტურიზმის განვითარებაში პრობლემები არსებობს, თუმცა მთავარია ის ძვრები, რომლებიც ხორციელდება არსებული ხელისუფლების პირობებში. ამის

დამადასტურებლად, ქვემოთ მოცემული სტატისტიკაც გამოდგება, რომელიც მიუთითებს თბილისის განსაკუთრებულ როლზე, კერძოდ: საერთაშორისო ვიზიტების 52.3% საქართველოს დედაქალაქში გახორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 29%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: მარნეულში (11.7%), მცხეთაში (9.9%), ყაზბეგში (8.9%), გუდაურში (4.9%), სიღნაღში (4.8%), ქუთაისში (4.6%), თელავსა (3.7%) და ბორჯომში (3.4%) (გრაფიკი 5). ვიზიტების უმეტესობა 52.3% რეგიონულ დონეზე თბილისში განხორციელდა, შემდეგ მოდის აჭარა 30.4%, მცხეთა-მთიანეთი 19.5% და ქვემო ქართლი 16.6%. დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი გახორციელდა კახეთში 8.6%, სამცხე-ჯავახეთსა 8.2% და იმერეთში 5%.

საქართველოში ჩამოსვლამდე ვიზიტორებმა სხვადასხვა ინფორმაციის წყარო გამოიყენეს. ვიზიტების 54.1%-ის შემთხვევაში მათ ინფორმაცია ახლობლებისგან მოიძიეს, ვიზიტების 15.7%-ისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროს ინტერნეტი წარმოადგენდა, ხოლო 14.6%-მა ამისათვის ტელევიზია გამოიყენა. ვიზიტების უმეტესობისთვის (53.6%) ვიზიტორს უკვე მოეპოვებოდა ინფორმაცია წინა ვიზიტიდან. ვიზიტორების დიდი ნაწილი, რომელიც პირველად იმყოფებოდა საქართველოში, ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად მეგობრებსა და ნათესავებს დაეკითხა (73.1%), 39.9%-მა ინფორმაცია ინტერნეტით მოიძია, ხოლო 16.6%-ისთვის ინფორმაციის წყარო ტელევიზია იყო.

2018 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 30,183,344-ს შეადგენდა. მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (39.6%) სასტუმროში გახორციელდა, ერთ მეოთხედზე მეტი კი (26.5%) მეგობრის, ნათესავის სახლში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ვიზიტორებს შორის ნაკლებად პოპულარულია (ღამისთევების 12.7% სასტუმრო სახლში, ხოლო 11.7% კი ნაქირავებ ბინაში გახორციელდა). საერთაშორისო ვიზიტების 34.1%-ის შემთხვევაში, ვიზიტორი კმაყოფილი იყო გახორციელებული ვიზიტით, 53.9% - ძალიან კმაყოფილი, ხოლო 1.5%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.4-ს შეადგენდა (5-დან).

თბილისის მიმზიდველობას აძლიერებს ძველ უბნებში განხორციელებული სარესტარვაციო სამუშაოები. ძველი თბილისის ყველა უბანში: აბანოების უბანი; ზემო და ქვემო კალა; განსაკუთრებით გარეთუბანში განხორციელებული ძვირადღირებული საამშენებლო და სარესტავრაციო საქმიანობები თვლიანად ცვლის თბილისში ქვეითად სასიარულო საექსკურსიო პროგრამას.

ლეღვთა ხევის მოწესრიგება და ტურისტებისათვის თბილისის გალავნისა და სოლოლაკის მთის აღმოსავლეთ ნაწილის საექსკურსიო პროგრამებში ჩართვით იზრდება ბოტანიკური ბაღის ქალაქის ექსკურსიაში ჩართვის შესაძლებლობაც. აქ შეიძლება მრავალფეროვანი მარშრუტების მოფიქრება, ბოტანიკური ბაღის მიერ შემოთავაზებული პროგრამების გათვალისწინებით.

უაღრესად საინტერესოა ძველი თბილისის მარცხენა სანაპიროს ჩართვის შესაძლებლობები. თუ რამდენიმე წლის წინ აღმაშენებლის გამზირის დიდი მონაკვეთის რესტავრაცია დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ რთულდებოდა მისი ქალაქის ექსკურსიაში ჩართვის საკითხი, რადგან ეს ნაწილი რჩებოდა კუნძულის სახით მთავარი ფოსტის შენობიდან (აღმაშენებლის 38) დაწყებული ორბელიანის მოედნამდე. ამჟამად ეს ნაწილი უკვე რესტავრირებულია და ძველ თბილისში შესაძლებელია სრული საფეხმავლო ექსკურსიის (7-8 კმ) მომზადება და ტურისტებისთვის შეთავაზება.

ამრიგად, მასობრივმა ტურიზმმა, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა კეთილმყოფელი გავლენა იქონია თბილისის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე და ქალაქს განვითარების ახალი პერსპექტივები დაუსახა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი, კ., აფციაური, ვ., ბერიძე, გ., გუგუშვილი, თ., ვარდოსანიძე, ვ., თუმანიშვილი, მ., კიკნაძე, ზ., - „თბილისის ქალაქთმშენელობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები“, წ. 2, თბ., 2004 წ.;

2. ამირეჯიბი, კ. – „ქალაქის სათუთი განახლება და ძველი თბილისის რეაბილიტაცია“, თბ., 2009 წ.;
3. „არქიტექტურა - დროსა და ადამიანებს შორის გადებული ხიდი“, თბ., 2017 წ.;
4. ბერიძე, გ. – „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემები“, თბ., 2001 წ.;
5. თარხან-მოურავი, ი. – „თბილისი - დედაქალაქი-კურორტი“, თბ., 2018 წ.;
6. „თბილისის ისტორია“, ტ. 1, თბ., 1990 წ.;
7. „თბილისი - ძველი და ახალი / Tbilisi – Old and New“,თბ., 2017 წ.;
8. „ისტორიული თბილისი, კულტურული ასპექტები“ (მოხსენებათა კრებული), თბ., 2013 წ.;
9. კვირკველია, თ. – „თბილისის არქიტექტურა“, თბ., 1982 წ.;
10. „კულტურული მემკვიდრეობის დამცველის გზამკვლევი“ (რედ. გოშაძე, მ.), თბ., 2017 წ.;
11. მანია, მ. – „თბილისის დასაცავი ფასეულობა“, თბ., 2009 წ.;
12. მარგველაშვილი, ა., ბიძინაშვილი, მ., ხანთაძე, ი., სანადირაძე, ნ., ბრეგვაძე, თ., გოგობერიშვილი, ქ. – „სიღნაღი კულტურისათვის - მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები და კულტურის პოლიტიკის რეკომენდაციები“, თბ., 2014 წ.
13. ოვაკიმიანი, დ., თედიაშვილი, ნ., - „ექსკურსიით ჰაოსის ქვეყანაში“, თბ., 2013 წ.;
14. „საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში“ (მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები), თბ., 2016 წ.;
15. უკლება, მ. – „დესტინაციის მენეჯმენტი“, თბ., 2016 წ.;
16. ქადაგიშვილი, დ. – „ძველი თბილისი და ქუთაისი“, თბ., 2008 წ.;
17. ქუთათელაძე, მ., წერეთელი, გ. – „თბილისის ტაძრები და რელიგიური ნაგებობები (ძველი თბილისი)“, თბ., 2018 წ.;
18. „ჩემი თბილისი“, თბ., 2013 წ.;
19. ჰარასევიჩი, ო. – „რა უნდა გააკეთოს ქალაქმა, რომ გახდეს მერების შეთანხმების წარმატებული მონაწილე“, ლვოვი, 2013 წ.;
20. „დავით აღმაშენებლის საფეხმავლო ნაწილი გაიხსნა“, 26.09.2016 წ. http://www.city.kvira.ge/2016/09/26/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%

98%E1%83%97-
%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-
%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%96/

21. ნინო თარხნიშვილი, ძველი თბილისის სულის გადასარჩენად, 04.06.2010 წ.
22. თარხნიშვილი, ნ. – „ძველი თბილისის სულის გადასარჩენად“, 04.06.2010 წ. https://www.radiotavisupleba.ge/a/2062159.html ;
23. საერთაშორისო ვიზიტორები საქართველოში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2018 წ., International statistical-overview-2018 GEO-1.pdf ;
24. ძველი თბილისი და ახალი საქართველო - არის თუ არა ქვეყანა მზად ტურისტული ბუმისთვის, 25.04.2017 https://jam-news.net/%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98 ;

დანართი:

კვლევის კითხვარი:

1.როგორ ფიქრობთ, რამდენად საინტერესოა ტურისტებისათვის თბილისის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა?

1.ეს არის ის, რისთვისაც ტურისტები აქ ჩამოდიან

2.ძალიან საინტერესოა

3.საინტერესოა, მაგრამ მხოლოდ თბილისი არა

4.თბილისი - ნაკლებად, მათ მთა და საზღვაო კურორტები უფრო იზიდავთ

5.თბილისი ყოველთვის იყო თავისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით განსაკუთრებულად საინტერესო უცხოელი ტურესტებისათვის

6.არ ვიცი

2.თქვენი აზრით, ძველი თბილისის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მთელი თბილისის მთავარი ღირძია იმისათვის, რომ უცხოელებისთვის საინტერესო იყოს?

1.დიახ, ყველაზე მეტად ძველი თბილისი ხიბლავთ ტურისტებს თავისი მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით

2.არა, ძველი და ახალი თბილისი ორივე ერთნაირად საინტერესოა

3.არა, მხოლოდ ახალი თბილისიც დააინტერესებდათ უცხოელებს

4.რომ არა ძველი თბილისი, ალბათ არავინ დაინტერესდებოდა ამ ქალაქით

5.ძველი თბილისი თავისი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობითა და ახალი ელემენტებით ბევრად საინტერესოა ტურისტებისთვის, ვიდრე მხოლოდ თანამედროვე ქალაქის შემთხვევაში იქნებოდა

6.არ ვიცი

3.რა აზრის ხართ ძველი თბილისის უბნებსა და ტურისტულ მარშრუტებზე?

1.ვფიქრობთ, ძალიან საინტერესოა და ბევრ კარგ მოგონებას დაუტოვებს მნახველს

2.ალბათ მოძველდა და აღარავის აინტერესებს

3.სწორედ ეს უბნები ხიბლავთ და იზიდავთ უცხოელ ტურისტებს და, შესაბამისად, ტურისტული მარშრუტებიც მოწონებით სარგებლობს მათში

4.არ ვიცი

4.თქვენი აზრით, ძველი თბილისის რესტავრაციისას რამდენად უნდა იყოს შენარჩუნებული ძველი ქალაქის თვითმყოფადობა?

1.სულერთია, მთავარია სრული რესტავრაცია ჩატარდეს და განახლდეს ქალაქი

2.არ არის საჭირო თვითმყოფადობის შენარჩუნება, რადგან ახალი სახე უფრო საინტერესო იქნება

3.ძველი თბილისი უნდა განახლდეს, მაგრამ არ უნდა შეიცვალოს ის მთავარი, რაც მას უნიკალურს ხდის, სწორედ ეს გამოარჩევს მას სხვა ქალაქებისგან

4.არ ვიცი

5.რამდენად იგრძნობა მასობრივი ტურიზმის გავლენა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე თბილისის ძველ უბნებში?

1.გავლენა აშკარაა, რადგან რომ არა მასობრივი ტურიზმი, შესაძლოა, ძველ თბილისს დაეკარგა თავისი თვითმყოფადობა

2.მასობრივი ტურიზმი მნიშვნელოვანია, თუმცა მას არსებითი როლი არ აკისრია ძველი თბილისის ისტორიულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში

3.არანაირად არ აქვს ტურიზმს გავლენა ძველი თბილისის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე - კავშირს ვერ ვხედავ

4.არ ვიცი

5.ტურისტების დიდმა რაოდენობამ უფრო მეტად წაახალისა ძველი უბნების რეაბილიტაცია, თუმცა მასობრივმა ტურიზმმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქალაქის თვითმყოფადობას

6.მასობრივი ტურიზმი საფრთხეს უქმნის ქალაქის ავთენტური სოციო-კულტურულ ლანდშაფტს და თავისი უარყოფითი წვლილი შეაქვს ურბანული თვითმყოფადობის დაკარგვაში

6.რა გაკეთდა ანდა რა შეცდომები იქნა დაშვებული გასული 15 წლის მანძილზე ძველი თბილისის ახალი იერსახის მინიჭებისას? შეექმნა თუ არა მას თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე?

1.ძველ თბილისში ადრეც მოხდა განახლებები, თუმცა ზოგიერთმა დაამახინჯა თბილისის იერსახე - როდესაც ძველ კულტურულ ძეგლებთან ერთად გაჩნდა მინის ან რკინის ნაგებობები, რაც სრულიად იყო და არის ამოვარდნილი საერთო კონტექსტიდან

2.ბევრი გაკეთდა და არანაირი შეცდომა არ დაშვებულა

3.არ ვიცი

7.თქვენი აზრით, რამდენად ზრუნავს ხელისუფლება ძველი თბილისის რესტავრაციისა და მისი თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე? რა კეთდება ამ მხრივ?

1.ხელისუფლება ნამდვილად ზრუნავს დღეს ქალაქზე და, კერძოდ, ძველ თბილისზე. ადრე თუ კეთდებოდა უხარისხოდ, ახლა ძველი თბილისი იბრუნებს თავის ნამდვილ იერსახეს და ,ამავე დროს, მის კეთილმოწყობაში, მიუხედავად ახალი ელემენტების შეტანისა, რჩება ის მთავარი, რაც აუცილებელია ქალაქის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად

2.ხელისუფლება ცდილობს, მაგრამ ბევრს ვერაფერს აკეთებს

3.ხელისუფლება არ ზრუნავს ძველ თბილისზე და საერთოდ ქალაქზე

4.არ ვიცი

8.როგორ შეადარებდით თბილისსა და ევროპული ქვეყნების დედაქალაქებს - რას უნდა ვითვალისწინებდეთ მათი გამოცდილებიდან?

1.თბილისი ჯერ შორს არის ევროპული ქვეყნების დედაქალაქებისგან და საჭიროა მათი დადებითი გამოცდილების ჩვენს რეალობაში გადმოტანა

2.თბილისი ყოველთვის ახლოს იყო სხვა ევროპულ ქალაქებთან და ახლაც ასეა

3.თბილისი ადრე უფრო ჰგავდა ევროპულ ქალაქებს, დღეს იერსახე დაკარგული აქვს

4.თბილისი ნელ-ნელა უკვე ვითარდება და საჭიროა, მივბაძოთ სხვა ევროპულ ქალაქებს, სადაც ყველაფერი გეგმაზომიერია და თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს

5.ვერ შევადარებ

6.არ ვიცი

9.როგორ პარალელს გაავლებდით ადრინდელ ძველ თბილისსა და რესტავრირებულ ძველ თბილისს შორის - რომელს ანიჭებთ უპირატესობას? რომელი მოხიბლავდა ჩამოსულ სტუმრებს?

1.ადრინდელი ძველი თბილისი ბევრად მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე ახლანდელი ძველი თბილისი და ჩემთვის სწორედ ისეთი თბილისია მისაღები, სტუმრებისთვის - არ ვიცი

2.ადრინდელი ძველი თბილისი ბევრად გემოვნებიანი განაშენიანებით გამოირჩეოდა, თუმცა ახლანდელი ძველი თბილისი ერთად იტევს ძველსა და ახალს, რაც გაცილებით მიმზიდველია ჩემთვის და ალბათ ტურისტებისთვისაც

3.ძველი თბილისი უნდა დარჩეს მხოლოდ ქალაქის ტურისტულ ნაწილში, თუმცა უნდა ჰქონდეს ახალი სახე, რითაც ევროპულ ქალქაებს დაემსგავსება

4.ჩემთვის ადრინდელი და ახალი ძველი თბილისი ერთი და იგივეა, რადგან არ ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას

5.არ ვიცი

10. თქვენი აზრით რა არის თბილისის ისტორიული უბნების მთავარი გამოწვევა კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის და როგორ უნდა მოგვარდეს ის?

1.

2.მთავარი გამოწვევა ამ ადგილებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ტექნიკის ხშირი შემხებლობა, რაც განხვავებულ იერს იძლევა ჯამში

3.შეინარჩუნოს ძველებური ხიბლი და ამასთანავე მოხდეს მისი ჰარმონიული შერწყმა თანამედროვე არქიტექტურასთან

4.ძველი შენობებისა და ქუჩების ისე რესტავრირებით რომ არ დაიკარგოს მათი ძველი იერსახე, გარდა ამისა საჭიროა თანამედროვე სტანდარტებზე მორგებაც, ძველისა და ახალის შერწყმა უნდა მოხდეს უკვე არსებული (უცხოური) გამოცდილების საფუძველზე.

5.ძველი შენობებისა და ქუჩების ისე რესტავრირებით რომ არ დაიკარგოს მათი ძველი იერსახე, გარდა ამისა საჭიროა თანამედროვე სტანდარტებზე მორგებაც, ძველისა და ახალის შერწყმა უნდა მოხდეს უკვე არსებული (უცხოური) გამოცდილების საფუძველზე.

6.ისტორიული მემკვიდრეობა მარტო ის კონკრეტული შენობა არ არის, არამედ მის გარშემო მიმდებარე ტერიტორია. დღეს ეს ასეთად არ აღიქმება და არ უყურებენ უბას როგორც ცოცხალ ორგანიზმს. მთავარი გამოწვევა და საფრთხე ჩემი აზრით არის რომ ისტორიულ უბნებში დღეს გაჰყავთ ტურისტული ბილიკები, ჩვენ ვეუბნებით ტურისტსს სად უნდა წავიდეს, რაც ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია

7.მთავარი გამოწვევაა ქალაქის სოციალური გარემოსა დ კულტურული ლანდშაფტის „ტურისტიზაცია“ და ყოველდღიური სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობების მორგება ტურიზმზე, და არა პირიქით, როგორც ეს ევროპის მოწინავე ტურისტულ ქალაქებშია.

ქალაქი უნდა არეგულირებდეს და ფორმას აძლევდეს ტურიზმს, და არა ტურიზმი ქალაქს. (კაი უნდა ვაკეთოთ თუ არაა.. ჰეჰ)

8.პატარა აივნებიანი სახლები, პატარა კოხტა ქუჩები, ვისურვებდი რომ მთლიანად თბილისი ასეთი იყოს

9.ის ინახავს ისტორიულ წარსულს, ის შენობა-ნაგებობები თუ ღირსშესანიშნავი ადგილები ეს ისაა რისთვისაც ტურისტები ჩემოდიან და აინტერესებთ. თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის, რომ არ დაზიანდეს ის კულტურული მემკვიდრეობის ზეგლები და უფრო და უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ ჩვენს ქვეყანაში

10.თბილისის ისტორიული უბნების გამოწვევა არასათანადო მთავრობაა.არასაკმარისი მატერიალური რესურსი. სხვა ქვეყნების მაგალითებზე დაფუძნებულ ცოდნის არ ქონა და უინტერესობა.კორუფცია. არაპროფესიონალიზმი. და არარსებული რეგულაცია დეველოპერებსა და სხვა ოლიგარქ მტრებთან სამართლებლივად საბრძოლველი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Demur Goginava

The impact of mass tourism on the preservation of the historical-cultural heritage (on the example of old districts of Tbilisi)

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Niko Kvaratskhelia**

Associate Professor

Tbilisi 2019